რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში

ავტორები:

ნატა ძველიშვილი

თაზო კუპრეიშვილი

თბილისი, 2015

შინაარსი

შესავალი 4

1. ელექტროენერგია 9

1.1. ინტერ რაო 9

1.1.1. სს თელასი 10

1.1.2. შპს მტკვარი ენერგეტიკა 12

1.1.3. ხრამჰესი 1 ხრამჰესი 2 13

1.1.4. ენგურჰესი 15

1.2. შპს "ენერგია" 18

1.2.1. დარიალი ჰესი 19

1.2.2. ლარსი ჰესი 21

1.2.3. შილდა ჰესი 21

1.3. შპს ენერგო ინვესტი - ავანიჰესი 22

1.4. შპს ჯ.ბ.ჯ. - ალგეთიჰესი 23

1.5. შპს ფშავი ჰიდრო - სკურდიდი ჰესი 23

1.6. საქრუსენერგო 24

2. წყალმომარაგება 26

1.2. ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი 26

3. ნავთობი 29

3.1. ლუკოილ ჯორჯია 29

3.2. პეტროკას ენერჯი ლიმიტედი 32

3.3. „როსნეფტი" 33

3.4. "ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედი" 37

3.5. სან პეტროლიუმ ჯორჯია - გალფი 39

4. მადნეული 40

4.1. RMG Gold და RMG Copper 40
5. მინერალური წყლები 47
4.1. ბორჯომი 47
6. კომუნიკაცია 48
6.1. ბილაინი 48
7. სს ელმავალმშენებელი 52
8. ბანკები 54
8.1. სს ვითიბი ბანკი ჯორჯია 54
9. ყველაზე მსხვილი ინვესტიციები რუსეთიდან 55
9.1. შპს ვიმ-ბილ-დან საქართველო 56
9.2. შპს ჯლს 57
9.3. კარლსბერგ საქართველო 57
9.4. შპს ელექტრონი 58
9.5. შპს Club-2100 59
9.6. შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ 59
9.7. შპს ELITE DEVELOPMENT 61
9.8. ემბავუდ ჯორჯია 62
9.9. ტიფლისკი ვინნი პოგრებ 62
9.10. შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი 63
9.11. შპს ტრიდე 65

რუსული კაპიტალის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებლობის 24 წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაცია ერთადერთი სახელმწიფოა, რომელთანაც ქვეყანას მუდმივი კონფლიქტი აქვს და ურთიერთობის მოგვარება საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა. 2003 წელს ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლების პირობებში უფრო მეტად გამოიკვეთა ქვეყნის საგარეო კურსი. როგორც პრეზიდენტი, ისე მთავრობა საკუთარ განცხადებებში მუდმივად ხაზს უსვამდა დასავლეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და აქტიურად მუშაობდა საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. 2004 წლის 17 დეკემბერს საქართველოს მთავრობაში შეიქმნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლის მთავარი მიზანი იყო სწორედ ნატოსა და ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება; პოლიტიკური, სამართლებრივი, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ევროპასთან თანამშრომლობის გაღრმავებას რუსეთის მხრიდან რეაქცია მოჰყვა - 2006 წელს ქართული ღვინის, მინერალური წყლების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა აიკრძალა და დაწესდა, როგორც შემდეგ ამას უწოდეს, “პოლიტიკური ემბარგო”. იმ პერიოდში აღნიშნული პროდუქციის ძირითადი ექსპორტი საქართველოდან სწორედ რუსეთში ხორციელდებოდა, შესაბამისად, ემბარგო მნიშვნელოვანი დარტყმა აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისთვის.

ეკონომიკურ სანქციებს 2008 წელს ცხინვალის რეგიონში სამხედრო კონფლიქტი მოჰყვა. რუსეთის მიერ საქართველოს განხორციელებული აგრესიის შეჩერება რამდენიმე კვირაში

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის უშუალო ჩარევით მოხერხდა. იმავე წელს რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

საქართველომ კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ოფიციალურად უწოდა ”რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორები“. საქართველომ შესაბამისი კანონმდებლობაც მიიღო, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი დარღვევის შემთხევაში გავრცელდება სანქციები როგორც უშუალოდ იმ კომპანიებზე, ვინც ამგვარ საქმიანობას ეწევა, ისე იმ პირებზე, რომლებიც პირადაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ კაპიტალს ამ კომპანიაში ან რაიმე ფორმით გავლენას ახდენენ მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

ომამდე რამდენიმე თვით ადრე გაუქმდა სტრატეგიული ობიექტების ცნება და განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების სტატუსი მხოლოდ 5 ობიექტს მიენიჭა. დანარჩენი კი პრივატიზაციას დაექვემდებარა.

იმ დროინდელი ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბევრს მუშაობდა, რათა ქვეყანაში გაზრდილიყო უცხოური ინვესტიციების შემოსვლა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიც არის ელექტროენერგია, წყალმომარაგება, მადნეული, მინერალური წყლები, განხორციელებული ინვესტიციების დიდი წილი რუსულ კომპანიებზე მოდის. 2015 წლის მდგომარეობით, კომპანია “ინტერ რაო”, რომლის აქციონერები რუსული სახელმწიფო კომპანიები არიან, ფლობენ საქართველოს ენერგოსადისტრობუციო კომპანია “თელასს”, თბოსადგურ “მტკვარი ენერგეტიკას”, ჰესებს “ხრამჰესი 1”, “ხრამჰესი 2”. „ინტერ რაოს“ მართვაში აქვს გადაცემული ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური “ენგურჰესი”. რუსეთის მოქალაქე ფლობს შპს “ენერგიასაც”, რომელსაც ეკუთვნის დარიალი ჰესი, ლარსი ჰესი, შილდა ჰესი. რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ავანიჰესი, ალგეთი ჰესი, სკურდიდი ჰესი. ქართული და რუსული მხარე ერთობლივად ფლობენ “საქრუსენერგოსაც”, რომელიც ქვეყანაში ელექტროენერგიის გადამცემ სისტემას განკარგავს.

რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ჟინვალჰესი, აგრეთვე თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგების კომპანია “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს”.

რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ნავთობ კომპანიები “ლუკოილი”, “გალფი”, „ფოთის ნავთობტერმინალი”, ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიები RMG Gold და RMG Copper, აგრეთვე მინერალური წყლების მწარმოებელი “ბორჯომი”, მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების მწარმოებელი სს "ელმავალმშენებელი", “ვითიბი ბანკი ჯორჯია”, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია “ბილაინი” და ბევრი სხვა კომპანიები.

აღსანიშნავია რომ, იმ ფონზე, როდესაც საქართველოში პრობლემები ექმნებათ ირანისა და ინდოეთის მოქალაქეობის მქონე ბიზნესმენებს, შეუფერხებლად საქმიანობენ ის რუსული კომპანიები, რომლებსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა - მათ შორისაა “ლუკოილი”, “ვითიბი ბანკი” და “როსნეფტი”, რომელიც ოფშორული კომპანიების საშუალებით ფლობს ფოთის ნავთობტერმინალებს და ბენზინგასამართი სადგურების ქსელს.

უკრაინაში ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციის პროცესის დაწყებიდან მალევე, 2014 წლის 6 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, აშშ-ს მიეცა უფლება, გაეყინა საბანკო ანგარიშები, ასევე, გამოეყენებინა სამგზავრო აკრძალვები იმ პირების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ ყირიმის უკრაინიდან გამოყოფაში.

აღნიშნული გადაწყვეტილებიდან მალევე, ევროკავშირმა და კანადამ რუსეთის ფედერაციას, კონკრეტულად კი რუს პოლიტიკოსებსა და რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებულ კომპანიებს პირველი სანქციები 2014 წლის 17 მარტს დაუწესა. ეს გადაწყვეტილება რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის, ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციისა და 16 მარტს ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ მიიღეს.

ევროკავშირმა თავის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა და აქტივები გაუყინა რუსეთისა და ყირიმის 21 თანამდებობის პირს, მათ შორის დუმის რამდენიმე დეპუტატს.

აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტმა კი გარდა რუსი დეპუტატებისთვის შეზღუდვების დაწესებისა, სანქცია დაუწესა[1] კომპანიებს, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული რუსეთის ხელისუფლებასთან.

რუსეთის მიმართ საქნციები ამით არ ამოწურულა. უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთს შეზღუდვები დაუწესეს ევროკავშირის არაწევრმა სახელმწიფოებმაც, მათ შორის ნორვეგიამ, შვეიცარიამ, უკრაინამ, მოლდავამ, ავსტრალიამ და იაპონიამ.

სანქციები რუსეთის წინააღმდეგ 2014 წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ გააფართოვეს ევროკავშირმა და აშშ-მ, მიზეზი კი უკრაინის აღმოსავლეთში რუსეთის მიერ უკრაინელი ამბოხებულების მხარდაჭერა და კონფლიქტის ესკალაცია გახდა. ყველაზე ფართომასშტაბიანი სანქციების შესახებ აშშ-მ[2] და ევროკავშირმა[3] 2014 წლის სექტემბერში გამოაცხადეს.

სანქციების მიხედვით, ამერიკულ და ევროპულ კომპანიებს აეკრძალათ სანქცირებულ რუსულ კომპანიებთან თანამშრომლობა, მათთვის ნავთობის მომპოვებელი და ნავთობსაბადოების საკვლევი ტექნოლოგიების მიწოდება, ასევე, გრძელვადიანი სესხების მიცემა და ა.შ.

სანქციები, ძირითადად, შეეხო ენერგეტიკის, ნავთობისა და საბანკო სექტორებს. სანქცირებულთა შორის აღმოჩნდნენ რუსეთის უმსხვილესი ბანკები, მათ შორის VTB ბანკი, აგრეთვე, უმსხვილესი ნავთობკომპანია "როსნეფტი" და "ლუკოილი"[4].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰქონდა საერთაშორისო სანქციებისთვის მიერთების პრაქტიკა, რუსეთის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება ხელისუფლებამ ვერ მიიღო. მაგალითად, საქართველო რამდენიმე წლის წინ შეუერთდა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ მიღებულ სანქციებს და ირანულ კომპანიებსა და ბიზნესმენებს გარკვეული შეზღუდვები დაუწესა[5], თუმცა, ეს არ მომხდარა

---

[1] USA Departament of The Treasury, 2014, Ukraine-related Designations.
[2] Thomson Reuters, 2014, U.S. intensifies sanctions on Russia over Ukraine, http://www.reuters.com/article/2014/09/12/us-ukraine-crisis-usa-sanctions-idUSKBN0H71N320140912
[3] Official Journal of the European Union, 2014, http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:271:FULL&from=EN
[4] Financial Times, 2014, US targets Gazprom in new round of sanctions, http://on.ft.com/1ABwLno
[5] Netgazeti.ge, 2013, გაეროს სანქციები და ირანული ბიზნესი საქართველოში, http://www.netgazeti.ge/GE/105/News/21217/

რუსეთთან დაკავშირებით. 2014 წელს მოქმედმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ რუსეთისთვის სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით, განმარტა[6]: „ეს არ არის მხოლოდ საკმარისი იმისათვის, რომ კრიზისული ვითარება გადაიჭრას“.

წინამდებარე კვლევაში სექტორების მიხედვით წარმოდგენილია საქართველოში დაფუძნებული ის კომპანიები, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეები ფლობენ. გაანალიზებულია თუ როგორ და როდის აღმოჩნდა მათ ხელში სხვადასხვა ობიექტები. კვლევაში მოყვანილი ინფორმაცია ეყრდნობა ოფიციალურ დოკუმენტაციას და მედიით გავრცელებულ ცნობებს.

[6] Civil.ge, 2014, ფანჯიკიძე დასავლეთსა და რუსეთს შორის საპასუხო სანქციების შესახებ კომენტარს 'განმარტავს', http://www.civil.ge/geo/article.php?id=28577

1. ელექტროენერგია

1.1. ინტერ რაო

საქართველოში ენერგეტიკის სფეროში ბაზრის მნიშვნელოვან წილს ფლობს რუსული მსხვილი კომპანია "ინტერ რაო". მისი მთავარი აქციონერები რუსული სახელმწიფო კომპანიები არიან[7].

„ინტერ რაოს" სამეთვალყურეო საბჭოში შედიან - რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის



მოადგილე ვიაჩესლავ კრავჩენკო, "გაზპრომის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი დენის ფედოროვი, გაზის კომპანია "როსნეფტის" პრეზიდენტი იგორ სეჩინი, რუსული ტექნოლოგიების სახელმწიფო კორპორაციის ხელმძღვანელის მოადგილე დმიტრი შუგაევი, რუსული სახელმწიფო კორპორაციის, "ვნეშეკონობენქის" ხელმძღვანელი ვლადიმერ დმიტრიევი. მმართველ საბჭოს ბორის კოვალჩუკი ხელმძღვანელობს, რომელიც 2006-2009 წლებში რუსეთის მთავრობის პრიორიტეტული პროექტების დეპარტამენტის უფროსი იყო.

[7] Interrao.ru, Company Capital, http://www.interrao.ru/en/company/capital/

საქართველოში „ინტერ რაოს“ ეკუთვნის ენერგეტიკის გამანაწილებელი კომპანია სს „თელასი“, თბოსადგური შპს „მტკვარი ენერგეტიკი“ და მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები - „ხრამჰესი 1“ და „ხრამჰესი 2“.

1.1.1. სს თელასი

„ინტერ რაო“ საკუთრებაშია სს “თელასი”, რომელიც საქართველოს ენერგობაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამანაწილებელი კომპანიაა. ის თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მაღალი (110 კვ), საშუალო (35-10 კვ) და დაბალი (6-0,4 კვ) ძაბვის ქსელს ფლობს. სწორედ აღნიშნული კომპანია ამარაგებს ელექტროენერგიით საქართველოს დედაქალაქს, ჯამში 416 500 აბონენტს. კომპანიის საქმიანობის ძირითადი სახეა ელექტროენერგიის განაწილება. ამასთან ერთად, „თელასი“ ეწევა შემდეგი სახის მომსახურებას:

- ელექტროენერგიის ტრანზიტი;
- აბონენტთა ტექნიკურ მომსახურება;
- ბილინგისა და გადახდების შეგროვება გარეშე სერვისული ორგანიზაციებისთვის.

1998 წელს კორპორაცია AES-მა შეიძინა სააქციო საზოგადოება „თელასის“ აქციათა 75%. 2003 წელს კი AES-ის მფლობელის, “Silk Road Holdings B.V.”-ის აქციათა 100% იყოდა ფინურმა კომპანიამ – სს RAO Nordic Oy, რომლის ერთადერთი აქციონერია ღსს „ინტერ რაო“.

2015 წლის მონაცემებით, „ინტერ რაო“-ს საკუთრებაშია „თელასის“ აქციათა 75%, დაახლოებით 25%-ს კი ქართული სახელმწიფო ფლობს.

სს “თელასის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდამარეა დმიტრი ვოლკოვი - ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში „ინტერ რაოს“ აქტივების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი. ამავე საბჭოში შედიან პაველ ოკლეი - „ინტერ რაოს“ საწარმოო საქმიანობის ხელმძღვანელი, დიმიტრი პალუნინი - „ინტერ რაოს“ ფინანსურ ეკონომიკური ცენტრის ხელმძღვანელი,

ილნარი მირსიაპოვი - „ინტერ რაოს“ სტრატეგიისა და ინვესტიციების ბლოკის ხელმძღვანელი და ალექსანდრე პახომოვი - „ინტერ რაოს“ სამართლებრივი მუშაობის ბლოკის ხელმძღვანელი.

სამეთვალყურეო საბჭოში საქართველოს 2 მოქალაქეა - თემურ ჭინჭარაული და ვახტანგ ჯორბენაძე. ეს უკანასკნელი სს “საპარტნიორო ფონდის” იურისტია, “საპარტნიორო ფონდი” სახელმწიფო კომპანიაა, რომლის სამეთვალყურეო საბჭოში შედიან საქართველოს ენერგეტიკის, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრები. შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ ჯორბენაძე „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოში ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენს.

დმიტრი ვოლკოვი, სერგეი კობცევი, კახა კალაძე ახალ ბიზნეს ცენტრს ხსნიან, 2013. წყარო: telasi.ge

„თელასის“ გადაცემის შესახებ საქართველოს მთავრობასა და „ინტერ რაოსს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის თემამ ბოლოს 2012 წელს წამოიწია, მაშინ ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ იწყებდა მოლაპარაკებებს ელექტროენერგიის ტარიფების დასაწევად. მისი თქმით, ვალდებულების თანახმად, 2025 წლამდე „ინტერ რაოს“ 370 მილიონის ოდენობის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა. “ინვესტიციების განხორციელება დაწყებულია: ეს გამრიცხველიანებას და ქსელების რეაბილიტაციას ეხება. მათ ახალი ჰესის აშენების ვალდებულებაც ჰქონდათ, რაც ელექტროენერგიის ტარიფშიც აისახება. ეს ზუსტად ის თემაა, რაც „ინტერ რაო ეეს-თან“ საუბარში ტარიფს ეხება,” - აღნიშნა კახა კალაძემ[8], თუმცა ელექტროენერგიის ტარიფები მას შემდეგ არ შეცვლილა.

[8] News.ge, 2012, კალაძე ”ინტერ რაო ეეს-თან” ტარიფებზე მოლაპარაკებებს იწყებს, http://news.ge/ge/news/story/37512-kaladze-inter-rao-ees-tan-tarifebze-molaparakebebs-itsyebs

1.1.2. შპს მტკვარი ენერგეტიკა

“ინტერ რაოს” ეკუთვნის თბოსადგური შპს „მტკვარი ენერგეტიკაც“. ამ კომპანიის ძირითადი საქმიანობა ელექტროენერგიის წარმოება და მისი რეალიზაციაა. ელექტროენერგიის წარმოება ხორციელდება შპს „მტკვარი ენერგეტიკას” კუთვნილი თბოელექტროსადგურის საშუალებით, რომელიც მდებარეობს ქ. გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. იგი შედგება ორი ენერგობლოკისაგან (მე-9 და მე-10), თითოეული 300 მგვტ დადგმული სიმძლავრით. თბოელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სათავე ნაგებობა - კაშხალი და მისგან გამომავალი მიწისქვეშა გვირაბებისა და ღია არხების სისტემა.

პირველი და მეორე ენერგობლოკები (ძველი დასახელება - თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები) ენერგოჰოლდინგმა "ინტერ რაო" 2003 წლის ოქტომბერში სხვა აქტივებთან ერთად შეიძინა და მისი აქციების 100%-ის მფლობელი გახდა.

თბოელექტროსადგური მტკვარი ენერგეტიკა. წყარო: mtkvarienergy.ge

შპს “მტკვარი ენერგეტიკის” ერთპიროვნული მფლობელი ოფიციალურად არის ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია "გარდაბანი ჰოლდინგზ ბი.ვი." მისი წარმომადგენელია რუსეთის მოქალაქე დმიტრი კნიაგინინი. „მტკვარი ენერგეტიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან „ინტერ რაოს” წარმომადგენლები, რუსეთის მოქალაქეები: დიმიტრი ვოლკოვი, პაველ ოკლეი და დიმიტრი პალუნინი. ისინი სამეთვალყურეო საბჭოში 2014 წელს შევიდნენ, თუმცა ოფიციალურად ეს ცვლილება

ტექნიკური ხარვეზის გამო სამეწარმეო რეესტრმა არ დაარეგისტრირა. ზემოთ აღნიშნული პირები “მტკვარი ენერგეტიკის” პარალელურად სს “თელასის” სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც არიან.

„მტკვარი ენერგეტიკის“ დირექტორი 2003 წლიდან დღემდე არის დევი კანდელაკი. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ დევი კანდელაკი ენერგეტიკის ყოფილ მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურთან ერთად დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით დააკავა, თუმცა მათ ბრალი არ დაუმტკიცდათ და სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო. დევი კანდელაკი 2012-2013 წლებში სს თელასის გენერალური დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.

1.1.3. ხრამჰესი 1 ხრამჰესი 2

ისევე როგორც „მტკვარი ენერგეტიკის“, ასევე ჰიდროელექტრო სადგურების, „ხრამჰესი 1“-ის, „ხრამჰესი 2“-ის მფლობელია ოფშორულ ზონაში რეგისტრიებული კომპანია "გარდაბანი ჰოლდინგზ ბი.ვი." - ამ ჰიდროელექტროსადგურების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც არიან „ინტერ რაოს“ წარმომადგენლები დიმიტრი ვოლკოვი, პაველ ოკლეი და დიმიტრი პალუნინი. გენერალური დირექტორი კი აქაც დევი კანდელაკია.

„ხრამჰესი 1“ არის მაღალმთიანი ელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში, წალკის რაიონში, იგი შედგება 3 ჰიდროაგრეგატისგან, თითოეული 37,6 მგვტ დადგმული სიმძლავრით.

ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ქ. წალკაში მდებარე წლიური რეგულირების წყალსაცავი და მისგან გამომავალი მიწისქვეშა და მიწისზედა სამძაფა სადაწნეო მილსადენები. „ხრამჰესი 1“-ს წმინდა მოგება 2013 წელს 2 347 000 ლარი იყო.

„ხრამჰესი 2“ მდებარეობს საქართველოს სამხრეთ–დასავლეთის ნაწილში, მდინარე ხრამის 115 კმ–ზე. სს „ხრამჰესი 2“ მუშაობს სადღეღამისო რეგულირების რეჟიმში. ძირითადად იყენებს „ხრამჰესი 1“–ს მიერ გამომუშავებულ წყალს. 2013 წელს „ხრამჰესი 2“-ის წმინდა მოგება 1 594 000 ლარს შეადგენს.

საქართველოს მთავრობამ „ხრამჰესის“ გადაცემის შესახებ „ინტერ რაოსთან“ მემორანდუმი 2011 წლის 1 აპრილს გააფორმა. იმ დროს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა მედიასთან განაცხადა, რომ "აღნიშნულ მემორანდუმში ახალი არაფერია, რადგან "ხრამი 1" -სა და "ხრამი 2"-ში "ინტერ რაო" მართვის უფლებით 2000 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იყო შესული. ეს ხელშეკრულება კი 25 წლიანია და მას ვადა 2024 წლის ბოლოს ეწურებოდა".[9]

დევი კანდელაკი. წყარო: IPN

2011 წელს გაფორმებული ახალი მემორანდუმით, "ინტერ რაო" ხრამზე სამი ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ვალდებულებას იღებდა, რისთვისაც 193 მილიონი დოლარის ინვესტირება უნდა განეხორციელებინა. ამ პროექტით ახალი ჰესებით 85100 მეგავატი ენერგიის გამომუშავება იყო დაგეგმილი.

IDFI-მ გამოიკვლია, რომ “ხრამჰესის” გაყიდვიდან მიღებული თანხა (99 774 000 ლარი) ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის აშენებას მოხმარდა[10].

აღსანიშნავია, რომ „მტკვარი ენრგეტიკის“, „ხრამჰესი 1“-სა, „ხრამჰესი 2“-ს დირექტორის, დევი კანდელაკის კომპანია “მცირე ენერჯი” ფლობს **მაშავერაჰესს** (0.8 მგვტ სიმძლავრის) და **აჭიჰესსაც** (1 მგვტ სიმძლავრის). “მცირე ენერჯი” არის

[9] გაზეთი „24 საათი“, 2011, “ინტერ რაო" "ხრამი 1"-ისა და "ხრამი 2"-ის მესაკუთრე, http://www.24saati.ge/weekend/story/15458-inter-rao-khrami-1-isa-da-khrami-2-is-mesakutre

[10] IDFI, 2012, ახალი პარლამენტის მშენებლობის ხარჯები და დაფინანსების სქემა, https://opendatablog.wordpress.com/2012/12/10/axali-parlamentis-mseneblobis-xarjebi-da-dafinansebis-sqema/

ერთპიროვნული მფლობელი შპს “პრაიმ ენერჯისა”, რომელიც თავის მხრივ 1.65 მგვტ სიმძლავრის **ინწობა ჰესს** განაგებს.

1.1.4. ენგურჰესი

2008 წლის დეკემბერში, რუსეთ - საქართველოს ომის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ „ინტერ რაოსთან“ კიდევ ერთი მემორანდუმი გააფორმა, რაც „ენგურჰესის“ ერთობლივ მართვას გულისხმობდა. “ენგურჰესი” უდიდესი ჰიდროელექტროსადგურია კავკასიაში, რომელიც მდინარე ენგურთან მდებარეობს. მასში შედის ვარდნილჰესების კასკადიც. მისი ჯამური სიმძლავრე 1300 მგვტ-ია. ენგურჰესის კაშხალი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო ელექტროსადგური ადმინისტრაციული საზღვრის აფხაზურ მხარეს მდებარეობს.

ენგურჰესი

„ინტერ რაოსა“ და საქართველოს შორის დადებული მემორანდუმის შესახებ ქართულმა მხარემ პირველი კომენტარი ხელმოწერიდან ორი კვირის შემდეგ გააკეთა. 2009 წლის 12 იანვარს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა მედიას განუცხადა, რომ ენგურჰესის მართვა რუსული და ქართული მხარეების მიერ ერთობლივად განხორციელდება. „ინტერ რაოს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ხელმოწერილი მემორანდუმის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ ენგურჰესის ”ეფექტიანად ექსპლუატაციის” მიზნით შეიმუშავონ ათ წელზე არანაკლები ხანგრძლივობის პროგრამა.[11]

[11] Civil.ge, 2009, ენგურჰესი რუსულ-ქართულ ერთობლივ მმართველობაში გადავა, http://www.civil.ge/geo/article.php?id=20347

ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა რომ „ენგურჰესის“ აქციათა 100% იყო, არის და დარჩება სახელმწიფო საკუთრებაში, რაც შეეხება ერთობლივ მართვას, ეს იქნება ერთობლივი საბჭო, რომელიც დაკომპლექტდება პარიტეტულ პრინციპზე - ქართული სახელწიფოსა და „ინტერ რაოს“ წარმომადგენლების მიერ. ხეთაგურის თქმით, მემორანდუმით „ინტერ რაო” თანხმდება გადაიხადოს იმ ელექტროენერგიის საფასური, რომლის მიწოდებაც ამ ჰესის საშუალებით ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე და ეს „დამატებით 15 მლნ ლარის შემოსავალს შეადგენს”. ენგურჰესის მფლობელი მართლაც არ შეცვლილა და 2015 წლის მონაცემებით, კვლავაც საქართველოს სახელმწიფოა.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, რუსულ კომპანიასთან დადებული მემორანდუმი არ გასაჯაროებულა. უცნობი დარჩა რეალურად რას ითვალისწინებდა მხარეებს შორის შეთანხმება. გაზეთმა “რეზონანსმა” და “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ” ინფორმაციის მოპოვება ვერც სასამართლოს გზით მოახერხეს.[12] დოკუმენტის შინაარსი საიდუმლოდ დარჩა 2012 წლის შემდეგ მოსული ახალი ხელისუფლების პირობებშიც.[13]

აფხაზური „ჩერნომორენერგოს" გენერალურმა დირექტორმა ასლან ბასარიამ 2015 წლის 15 იანვარს პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ენგურჰესის სამართლებრივი კუთვნილების საკითხზე ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებია დაწყებული[14]. მეორე დღეს ეს ინფორმაცია ენერგეტიკის სამინისტრომ უარყო და აღნიშნა, რომ ენგურჰესი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე, ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს და “ჩერნომორენერგოს” გენერალური დირექტორის განცხადება აცდენილია რეალობას. „მიუხედავად კონფლიქტისა და არსებული პოლიტიკური სირთულეებისა, ენგურჰესი ისევე აწვდის ელექტროენერგიას აფხაზეთს, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ნებისმიერ კუთხეს. აღვნიშნავთ, რომ ენგურჰესის ოპერირებას ახორციელებდა და მომავალშიც განახორციელებს საქართველოს სახელმწიფო, ჩვენ ვუწევთ

[12] Civil.ge, 2010, სააპელაციო სასამართლომ ენგურჰესზე მემორანდუმი გასაიდუმლოებული დატოვა, http://www.civil.ge/geo/article.php?id=22737

[13] Gurianews.ge, 2012, ენერგეტიკის სამინისტრო ენგურჰესის მემორანდუმს ისევ ასაიდუმლოებს, http://www.gurianews.com/_/left_wide/6443_66_ka/energetikis_saministro_engurhesis_memorandums_isev_asaidumloebs.html

[14] Netgazet.ge, 2015, არველაძე: აფხაზურ მხარეს ენგურჰესის გათიშვის ბერკეტი აქვს, http://www.netgazeti.ge/GE/105/business/40419

მონიტორინგს ჰესის სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს. ენგურჰესის ექსპლუატაციის სრულ ხარჯს ფარავს საქართველოს მთავრობა", - განაცხადა ენერგეტიკის სამინისტრომ[15].



[15] Tabula.ge, 2015, სამინისტრო უარყოფს ენგურჰესის კუთვნილების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას http://www.tabula.ge/ge/story/91694-saministro-uarkofs-engurhesis-kutvnilebis-shesaxeb-molaparakebebis-datskebas

1.2. შპს "ენერგია"

რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური ეკუთვნის შპს „ენერგიას", რომელიც 2010 წელს საქართველოში დაფუძნდა. მისი 70 პროცენტი რუსეთის მოქალაქე მევლუდ ბლიაძეს ეკუთვნის, 30 პროცენტი კი შპს „ფერის" მფლობელობაშია. შპს „ენერგია" სს "დარიალი ენერჯის" აქციონერია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მევლუდ ბლიაძის ინვესტიცია 2011 წელს რუსეთიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორის მოხვდა.

მევლუდ ბლიაძე, წყარო: pylon.ru

მევლუდ ბლიაძე საქართველოში დაიბადა. მოგვიანებით რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. 1992 წელს კი რუსული სააქციო საზოგადოება „პილონის" ხელმძღვანელობა დაიწყო. დღეს ის კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. „პილონი" სანკტ პეტერბურგში ხიდების, გზების რეკონსტრუქციასა და შეკეთებას უზრუნველყოფს და ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა ამ მიმართულებით. 2012 წელს ამ კომპანიის მიერ განხორციელებული მორიგი პროექტის გახსნას თავად პრემიერ მინისტრი დიმიტრი მედვედევი ესწრებოდა[16]. მევლუდ ბლიაძეს მინიჭებული აქვს „რუსეთის დამსახურებული მშენებლის" წოდება[17].

[16] Pylon.ru, 2012, 10 октября 2012 г. состоялось торжественное открытие южного участка Западного скоростного диаметра http://www.pylon.ru/?part=3&id=135

[17] Pylon.ge, Обращение руководства ЗАО "Пилон", http://www.pylon.ru/?part=10

1.2.1. დარიალი ჰესი

“დარიალი ენერჯისთან“ საქართველოს მთავრობამ 2011 წლის 19 მაისს გააფორმა მემორანდუმი 109 მგვტ სიმძლავრის დარიალის ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ[18]. დარიალი ჰესი მდინარე თერგზე მდებარეობს. ინვესტიციის ოდენობა 135 მილიონი აშშ დოლარია. დარიალის ჰესის პროექტი ითვალისწინებს მდინარე თერგზე, დარიალის ხეობაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 109 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობას. ჰესი ენერგოსისტემას მიუერთდება დარიალის 110 კვ-იანი ხაზით, რომელიც აერთებს საქართველოსა და რუსეთის ენერგო-სისტემებს.



საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№891 2011 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „დარიალი ენერჯის“, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ხელშეკრულების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „დარიალი ენერჯის“, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი, საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, მდინარე თერგზე დარიალი ჰესის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელს მოაწერს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.

პრემიერ-მინისტრი **ნიკოლოზ გილაური**

2011 წლის 30 სექტემბერს ორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა და ერთ-ერთ აქციონერად „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ შევიდა. „დარიალი ენერჯის“ კაპიტალი 100 000 აშშ დოლარიდან 33 333 333 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

[18] ენერგეტიკის სამინისტრო, მემორანდუმი, http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Darilis%20Hidroelektrosadguri%2069%20geo.pdf

2013 წლის აგვისტოში სს „დარიალი ენერჯიმ“ განაცხადა, რომ ფინანსური პრობლემების გამო, საფრთხის ქვეშ დგება პროექტის განვითარება და პროექტის დასრულებამ შესაძლოა, გაურკვეველი ვადით გადაიწიოს.

2013 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძისათვის მიწერილ წერილში[19] კომპანია არსებული ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად მინისტრს შემდეგს სთავაზობს: „პროექტის დასრულებისათვის აუცილებელია საბანკო დაფინანსება, რასთან დაკავშირებითაც კომპანია დიდი ხნის მანძილზე აწარმოებს სამუშაოებს ქართულ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან. სესხის დამტკიცების წინაპირობად ბანკები ითხოვენ, რომ კომპანიამ მოიზიდოს დამატებითი კაპიტალი 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. სს „დარიალი ენერჯიმ“ მოიძია შესაბამისი რესურსი - შპს „ენერგია“ მზად არის განახორციელოს შენატანი კომპანიის კაპიტალში 10 მლიონი აშშ დოლარის სახით და გამოუყოს კომპანიას აქციონერთა სესხის სახით დამატებითი 10 მილიონი აშშ დოლარი, რომლის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური 10%-ით. სანაცვლოდ შპს „ენერგია“ ითხოვს, რომ კომპანიას ჰქონდეს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ (შემდგომში GEDF) საკუთრებაში არსებული აქციების ყიდვის ოფცია ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ 15 მილიონ აშშ დოლარად. სხვა გზა სს „დარიალი ენერჯის“ მიერ დამატებითი 20 მილიონი აშშ დოლარის მოპოვებისა ამ ეტაპზე არ არსებობს“.

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 1 ოქტომბერს დააკმაყოფილა “ფერის“ მოთხოვანა.[20]

მთავრობისთვის წერილის მიწერას წინ უძღოდა 2013 წლის 9 აგვისტოს გამართული „დარიალი ენერჯის“ აქციონერთა კრება, სადაც აქციათა 23.077 %-ის მფლობელი შპს „ენერგია“ გახდა. მისი დამფუძნებელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავად შპს „ფერი“ და რუსეთის მოქალაქე მევლუდ ბლიაძეა. აქციების ყიდვის დღესვე “დარიალი ენერჯიმ” ახალი

[19] მწვანე ალტერნატივა, 2013, ენერგო-პროექტები და კორუფცია საქართველოში, http://www.osgf.ge/files/publications/2013/Energy_project.pdf

[20] საქართველოს მთავრობის განკარგულება № 1415 2013 წლის 1 ოქტომბერი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2037590

აქციონერისგან 10 მილიონი აშშ დოლარი ისესხა, რომელიც 2016 წლის ბოლომდე უნდა დაფაროს. დარიალი ჰესის მშენებლობის დასრულება 2015 წლის ბოლომდე იგეგმება[21]

1.2.2. ლარსი ჰესი

შპს "ენერგიამ" უნდა ააშენოს ლარსი ჰესიც. მემორანდუმი საქართველოს მთავრობას, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს "ენერგიასთან" 2011 წლის 17 მაისს გაფორმდა, დარიალი ჰესის გადაცემამდე ორი დღით ადრე. ამ მემორანდუმის თანახმად, კომპანიამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ექსპლუატაციის და 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება აიღო. 20 მგვტ სიმძლავრის ჰესის ექსპლუატაციის ვადად 2013 წლის 31 დეკემბერი განისაზღვრა. ენერგეტიკის მინისტრმა ლარსი ჰესი ოფიციალურად 2014 წლის 24 იანვარს გახსნა[22].

1.2.3. შილდა ჰესი

შპს „ენერგია" ფლობს ყვარლის მუნიცილიტეტში არსებულ 5მგვტ სიმძლავრის შილდა ჰესსაც, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში ენრგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ გახსნა[23]. მისი მშენებლობისთვის საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგიას", სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს GGEDC-ს

ენერგეტიკის მინისტრი და „ფერის" ხელმძღვანელი შილდა ჰესის გახსნაზე. წყარო: ენერგეტიკის სამინსიტრო

[21] GEORGIAN ENERGY NEWS, 2015, დარიალის 110 მეგავატიანი ჰესის მშენებლობა წელს დასრულდება, http://bit.ly/1JWHDBf
[22] Netgazeti.ge, 2014, დაბა ყაზბეგში "ლარსი ჰესი" გაიხსნა http://www.netgazeti.ge/GE/105/News/27337/
[23] საქართველოს სახელმწწიფო ენერგოსისტემა, 2013, შილდა ჰესის მშენებლობა დასრულდა, http://www.gse.com.ge/new/?p=797

შორის 2012 წლის 13 ივლისს გაფორმდა. მანამდე ყვარლის მუნიციპალიტეტში მდინარე ჩელეთზე GGEDC (რომელიც საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს შეერწყა) გარკვეულ სამუშაოებს უკვე აწარმოებდა. მემორანდუმით ინვესტიციის საერთო ღირებულება 5 500 000 აშშ დოლარით განისაზღვრა.

1.3. შპს ენერგო ინვესტი - ავანიჰესი

რუსეთის მოქალაქე ალი მარაევი ფლობს შპს "ენერგო ინვესტს", რომელმაც ავანიჰესი უნდა ააშენოს. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის (#545) დადგენილებით კახეთის რეგიონში „ავანი" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად "ენერგო ინვესტი" გამოვლინდა[24] და ენერგეტიკის სამინისტროს მასთან გასაფორმებელი მემორანდუმის მომზადება დაევალა. აღსანიშნავია, რომ "ენერგო ინვესტთან" გაფორმებული მემორანდუმი ენერგეტიკის სამინისტროს საიტზე სხვა მემორანდუმებისგან განსხვავებით, გამოქვეყნებული არ არის, უცნობია გაფორმდა თუ არა საერთოდ აღნიშნული მემორანდუმი.

ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, ჰესის დადგმული სიმძლავრე 4.6 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება კი - 18.63 მლნ.კვტ.სთ, პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 7.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ინვესტორმა ჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელების ანალიზი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ენერგეტიკის სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვეში უნდა წარადგინოს, ხოლო ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში სამშენებლო ნებართვის აღებიდან 24 თვეში გაუშვას.[25]

---

[24] მთავრობის განკარგულება #545 2 აპრილი 2014,
http://government.gov.ge/files/381_41625_302809_545020414.pdf

[25] ენერგეტიკის სამინისტრო, 2014, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზნით გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა დასრულდა
http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=215&lang=geo

“ენერგო ინვესტი” ინტერესთა გამოხატვამდე რამდენიმე თვით ადრე, 2013 წლის სექტემბერში დაფუძნდა. მისი დირექტორიც ბეკხან ალიევი, მფლობელის, ამი მარაევის მსგავსად რუსეთის მოქალაქეა. ალიევი და მარაევი საქართველოში ერთად ფლობენ კიდევ ერთ კომპანიას, შპს „ევრაზია მინმეტალსს“.

1.4. შპს ჯ.ბ.ჯ. - ალგეთიჰესი

შპს “ჯ.ბ.ჯ.” ფლობს 1.25 მგვტ სიმძლავრის ალგეთიჰესს, კომპანიის 50 პროცენტის მფლობელი რუსეთის მოქალაქე სოლომონ ჩხაიძეა, დანარჩენი 50 პროცენტი კი საქართველოს მოქალაქე ელისო ქორიძის საკუთრებაშია. კომპანია სოლომონ ჩხაიძემ და ზაზა ქორიძემ 2011 წელს დააფუძნეს.

დანართი №2

	ხელშეკრულების 3 თვეში	ხელშეკრულების 6 თვეში	ხელშეკრულების 9 თვეში
ჰიდროელექტროსადგურის დასაბელება:	სკურდიდიესი		
ადგილმდებარეობა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები	x		
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მოამზადება		x	
გეოლოგია, გეოფიზიკა		x	
ნიადაგი რისკის ანალიზი		x	
სამშენებლო მასალების კვლევა		x	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები		x	
ჰიდრავლიკური კვლევები		x	x
ალტერნატიული ანალიზი		x	
ტექნიკური დიზაინი			x
ინფრასტრუქტურა		x	
ელექტროენერგიის გენერაცია და გამოყენება		x	
გადამცემ სისტემასთან დაკავშირება		x	
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)			x
საბუნებრივის მოცულობის ეწყინა			x
მშენებლობის ორგანიზება			x
ეკონომიკური ანალიზი			x
ფინანსური ანალიზი			x
მტკიცედების დაკვეთა და განთავსების გეგმა			x
ტექნიკურ-ეკონომიკური განთავსებადობის კვლევის წარდგენა			x

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს "ფშავი ჰიდრო"

ირაკლი გიგაშვილი

1.5. შპს ფშავი ჰიდრო - სკურდიდი ჰესი

რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მფლობელის, რაული ქურდაძის საკუთრებაშია შპს “ფშავი ჰიდრო”, რომელმაც სკურდიდი ჰესი უნდა ააშენოს. რაულ ქურდაძემ კომპანიის 75% 2015 წლის 20 იანვარს ნოდარ საბანაძისგან 750 ლარად შეიძინა. დანარჩენი 25% პროცენტი ზაზა არდიშვილის საკუთრებაშია, ის ასრულებს დირექტორის მოვალეობასაც.

საქართველოს მთავრობამ შპს “ფშავი ჰიდროსთან” მემორანდუმი 2014 წლის 19 ივნისს გააფორმა. კომპანია იმ პერიოდში რამდენიმე თვის დაფუძნებული იყო - “ფშავი ჰიდროს” რეგისტრაციის თარიღი 2014 წლის 17 იანვარია.

მემორანდუმი[26] კომპანიისთვის აჭარაში მდინარე სკურდიდზე სკურდიდი ჰესის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლების გაცემას ითვალისწინებდა, თუმცა, ამავე მემორანდუმში ჩაიწერა, რომ მშენებლობის დაწყებამდე, მემორანდუმის ხელმოწერიდან 4 თვის ვადაში “ფშავი ჰიდრო” იღებს სხვდასხვა ტიპის კვლევების ჩატარების ვალდებულებას, რის საფუძველზეც მხარეები იღებენ ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას.

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ოთხი თვის შემდეგ გაფორმდება ხელშეკრულება ჰესის მშენებლობის შესახებ. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 198,800.00 აშშ დოლარია. ენერგეტიკის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კვლევის ეტაპი ჯერ არ დასრულებულა[27].

1.6. საქრუსენერგო

რუსეთის ენერგეტიკული სისტემა არის ერთ-ერთი აქციონერი სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა “საქრუსენერგოში”, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადამცემ ქსელებს განაგებს. "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალში არსებული გადამცემი ხაზების მთლიანი სიგრძეა 908 კმ. მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი 603 კმ სიგრძისა და რუსეთის ტერიტორიაზე არსებული 305 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები. ქონების საერთო ღირებულება 230 000 000 ლარია.

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა "საქრუსენერგო" 1996 წლის 27 მაისს შეიქმნა საქართველოს მთავრობისა და რუსეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის

[26] ენერგეტიკის სამინისტრო, 2014, ურთიერთგაგების მემორანდუმი http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Skurdidis%20Hidroelektrosadguri%20675%20geo.pdf

[27] ენერგეტიკის სამინისტრო, მიმდინარე საინვესტიციო პროექტები, http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Mimdinare%20Sainvestitsio%20Proektebi%20945%20geo.pdf

ხელმღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე. დღეისათვის სააქციო საზოგადოების აქციონერები არიან საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახით და ღია ს.ს. "ფედერალური საქსელო კომპანია" რუსეთის გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა.

ამჟამად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის რუსეთის მოქალაქე ალექსეი მოლსკი, საბჭოს წევრები არიან ასევე რუსეთის მოქალაქეები მარია პიჩუგინა და მადინა კალოევა. ქართულ მხარეს კი წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები ავთანდილ თევზაძე, ივანე როსტიაშვილი და დავით მუჯირი. გენერალური დირექტორის პოსტს 2013 წლის 26 თებერვლიდან რომეო მიქაუტაძე იკავებს.

რუსეთის „ფედერალური საქსელო კომპანია ერთიანი ენერგოსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი მუროვი საქართველოში ბოლოს 2014 წლის ივნისში ჩამოვიდა. და საქართველოს ენერგეტიკის მინიტრს, კახა კალაესაც შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს „ქსანი 500-ის“ ქვესადგურიდან, დარიალის ხეობის გავლით საქართველოსა და რუსეთს შორის დამაკავშირებელი ახალი 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „ყაზბეგი“ და 500/100 კვტ-იანი ქვესადგურის მშენებლობის პერსპექტივები. სამინისტროს ცნობით[28], „პროექტები ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ენერგოსისტემების მდგრადობასა და

კახა კალაძე და ანდრეი მუროვი, 2014. წყარო: ენერგეტიკის სამინისტრო

[28] ენერგეტიკის სამინისტრო, 2014, რუსეთის „ფედერალური საქსელო კომპანიის“ ვიზიტი, http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=290&lang=geo

საიმედოობას. პროექტების სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება რამდენიმე ათეული მილიონი ევროა.“

2. წყალმომარაგება

1.2. ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

თბილისის მოსახლეობას სასმელი წყლით „ჯორჯიან უოთერ ფაუერი“ ამარაგებს. მისი ოფიციალური მფლობელი ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზია“. კომპანიას სამი დირექტორი ჰყავს გოჩა მეგრელიძე, მიხაილ ტუზოვი და ვლადიმირ კოზინი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით[29], მიხაილ ტუზოვი სხვადასხვა დროს რუსული “ინეტრ რაოს” შვილობილ კომპანიებში მუშაობდა. რუსეთის მოქალაქეა “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” წარმოების დირექტორი ალექსეი



„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მენეჯმენტი. წყარო: gwp.ge

[29] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2014, წყალი ოფშორებიდან: ვინ ფლობს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“? http://transparency.ge/blog/tsqali-opshorebidan-vin-plobs-georgian-water-and-power?page=2

ფროლოვი, რომელიც მანამდე მუშაობდა ტექნიკური დირექტორის მოადგილედ შპს „როსვოდოკანალში“.

წყალმომარაგების სექტორში რუსეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიის გამოჩენა საქართველოში 2008 წლის მაისიდან იწყება. მაშინ საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ და ქალაქ თბილისის მერიამ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ შპს “მალთიფლექს ენერჯი ლიმიტედს” მიჰყიდა “თბილისის წყალი”, “რუსთავწყალკანალი”, “მცხეთაწყალკანალი”, “საქწყალკანალი”. ხელშეკრულების თანახმად, წილის ნასყიდობის საფასური იყო ჯამში 80 011 208 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. თანხის გადარიცხვა ორ ტრანშად განხორციელდა. კომპანიაში მალევე შეიცვალა მენეჯმენტი და გენერალურ დირექტორად რუსეთის მოქალაქე იური ლესი დაინიშნა.

“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” სახელწოდებით კომპანია 2009 წლიდან ოპერირებს. კომპანიის მესაკუთრე „მალთიფლექს ენერჯი ლიმიტედსაც” სახელწოდება იმავე წელს შეეცვალა და “ჯორჯიან გლობალ უთილითის” გახდა.

2014 წლის დეკემბერში საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი გილაურმა მედიასთან განაცხადა[30], რომ Bank Of Georgia Holding-მა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” 25% შეიძინა და 2016-2017 წლებში ლონდონის ბირჟაზე გატანას გეგმავს.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" წყალმომარაგებისა და წყალარინების (კანალიზაცია) მომსახურებას უწევს თბილისის მოსახლეობას, სახელმწიფო ორგანიზაციებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს.

კომპანია ნედლ წყალს სასმელად ვარგის, ხარისხიან პროდუქტად გარდაქმნის და, დედაქალაქის მასშტაბით, 430 000-ზე მეტ აბონენტს აწვდის - 800-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციას, 16 200-მდე კომერციულ ობიექტს და მოსახლეობას. კომპანია ასევე

[30] Netgazeti.ge, 2014, გილაური: „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ლონდონის ბირჟაზე გავიტანთ, http://www.netgazeti.ge/GE/105/business/39292/

წყალარინების მომსახურებასაც ეწევა და მოხმარებული წყლების გატანას საკანალიზაციო ქსელების მეშვეობით ახდენს.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მფლობელს, შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზს“ ეკუთვნის რუსთავის წყალიც, რომელიც წყალმომარაგების მომსახურებას უწევს 49 932 აბონენტს ქ. რუსთავში, 4 713 აბონენტს გარდაბანში, 62 აბონენტს მარნეულში, მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და კომერციულ ობიექტებს.

ამავე საინვესტიციო ჯგუფის წევრია შპს „მცხეთის წყალიც“, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებს ქ. მცხეთაში მცხოვრებ 2 520 აბონენტს (მოსახლეობა) და 90 საბიუჯეტო ორგანიზაციასა და კომერციულ ობიექტს. "მცხეთის წყალი”, ყოველთვიურად, 490 992 m^3 სასმელ წყალს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისგან” იღებს და თავის მომხმარებლებში ანაწილებს.

შპს “რუსთავწყალკანალი”, შპს “მცხეთაწყალკანალი”, შპს “საქწყალკანალი” და შპს “თბილისის წყლი” შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზს“ (ყოფილი შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს”) საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისს გამოცემული №325 განკარგულებით გადაეცა. არასამთავრობო ორგანიზაციამ “მწვანე ალტერნატივა” ამ კომპანიებთან მთავრობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ვერ მოიპოვა ვერც სასამართლოს გზით. ხელშეკრულების სრული ტექსტი, ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლითვე მიჩნეული იყო მყიდველის კომერციულ საიდუმლოდ. [31]

შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზი“ ასევე ფლობს - კანალიზაციის ქსელების ექსპლუატაციის საწარმოს, გარდაბნის გამწმენდ ნაგებობას და შპს „საგურამო ენერჯის“. ამ უკანასკნელის გენერალური დირექტორი რუსეთის მოქალაქე მელსიკ აკობიანია.

“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" ელექტროენერგიასაც აწარმოებს. მას ეკუთვნის ჟილნვალჰესი, რომლის სიმძლავრე 134 000 კვტ-ს და თეთრიხევჰესი. მისი დადგმული სიმძლავრე 12 მვ, საშუალო წლიური გამომუშავება – 20-25 მლნ კვტ.სთ-ია.

[31]მწვანე ალტერნატივა, 2011, წყალი პრეზიდენტის სასახლიდან ჩვენს ონკანამდე ანუ პრივატიზაცია ქართულად 3, http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/privatizeba_qartulad_3.pdf

3. ნავთობი

საქართველოში რამდენიმე ათეული ნავთობკომპანია საქმიანობს, თუმცა, ბაზრის უდიდესი ნაწილი 5 უმსხვილეს კომპანიას უკავია, რომლებსაც აქვთ ბენზინგასამართი სადგურების საკუთარი ქსელი. მათ შორის არის „ლუკოილ ჯორჯია“.

3.1. ლუკოილ ჯორჯია

კომპანია „ლუკოილ ჯორჯია“ საქართველოში ამ სახელით 2002 წლიდან ფუნქციონირებს. „ლუკოილ ჯორჯიას“ საწვავი საქართველოში ბულგარეთიდან შემოაქვს და ის ერთ-ერთი მსხვილი ნავთობიმპორტიორი კომპანიაა - საქართველოში ფლობს 62 ბენზინგასამართ სადგურს.

“ლუკოილ ჯორჯია” რუსული სააქციო საზოგადოება “ლუკოილის” შვილობილი კომპანიაა. “ლუკოილი” მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, ნავთობისა და გაზის კომპანიაა, რომელიც დადასტურებული ნავთობის მარაგების მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ხოლო ნავთობპროდუქტების წარმოების მიხედვით მე-6 ადგილს იკავებს. “ლუკოილის” ნავთობმომპოვებელი ჭაბურღილები, გადამამუშავებელი ქარხნები და ბენზინგასამართი სადგურები განთავსებულია რუსეთში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკის, აზიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

“ლუკოილ ჯორჯიას” 100%-იანი წილის მფლობელია ნიდერლანდებში, 1998 წელს რეგისტრირებული კომპანია “ლუკოილ ევროპა ჰოლდინგს ბი.ვი”

კომპანიის დირექტორია საქართველოს მოქალაქე ზაზა ქათამაძე. “ლუკოილ ჯორჯიას” სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 2005 წლის 26 ოქტომბრის მდგომარეობით არიან რუსეთის მოქალაქეები სერგეი ფედორცოვი და ვალერი გოლოვუშკინი, სამეთვალყურეო საბჭოს

თავმჯდომარე კი ასევე რუსეთის მოქალაქე ფიკრეტ ალდაჯან ოგლია. 2005 წლის შემდეგ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში აღნიშნული მონაცემები არ შეცვლილა.

“საერთაშრისო გამჭვირვალობა - საქართველოს” ტენდერების მონიტორის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიხედვით, “ლუკოილ ჯორჯიას” 2011-2013 წლებში მონაწილეობა მიღებული აქვს 33 სახელმწიფო ტენდერში, რომელიც საწვავის შესყიდვის მიზნით იყო გამოცხადებული, აქედან 30 ტენდერში გაიმარჯვა .

მოგებული კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება 99 624 777 ლარია. აღნიშნული ღირებულება სავარაუდოა, რადგან თითოეული კონტრაქტის მიხედვით გათვალისწინებული იყო შესასყიდი საწვავის ფასის ცვლილება ბაზარზე არსებული სიტუაციის შესაბამისად.

ლუკოილის სათაო ოფისი მოსკოვში. წყარო: Lukoil.ge

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით ხელისუფლების ცვლილების შემდეგ “ლუკოილ ჯორჯიამ” 2012 წლის დეკემბერში სამი კონსოლიდირებული ტენდერი მოიგო, რაც სახელმწიფო უწყებებისთვის ბენზინით (ორგვარი ტიპის) და დიზელით მომარაგების მომსახურების გაწევას ისახავდა მიზნად. პირველი ხელშეკრულება 18-მდე სახელმწიფო უწყებისთვის 767 714 ლიტრი „სუპერის“ ტიპის ბენზინი 1.84 ლარად მიწოდებას ეხება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ 1 412 593 ლარი შეადგინა.

2012 წლის დეკემბერში “ლუკოილ ჯორჯიას” მიერ მოგებული მეორე კონსოლიდირებული ტენდერი 167 სახელმწიფო უწყებისთვის 27 844 500 ლიტრი „პრემიუმის“ ტიპის საწვავის მიწოდებას ეხებოდა. ვინაიდან „პრემიუმი“ „სუპერზე“ უკეთესი ხარისხია, ერთი ლიტრი

საწვავის ფასი წინა კონსოლიდირებული ტენდერისგან განსხვავებით უფრო ძვირად - 1.87 ლარის ოდენობით განისაზღვრა.

იმავე პერიოდში მესამე კონსოლიდირებული ტენდერის მოგების შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებით ლუკოილ ჯორჯიას 175 უწყებისთვის 27 024 155 ლიტრი (მათ შორის 9 000 000 ლიტრი სითხის სახით) EURO დიზელის მიწოდება დაევალა. 1 ლიტრის ფასმა 1.93 ლარი შეადგინა.

მსგავსი კონსოლიდირებული ტენდერი "ლუკოილ ჯორჯიამ" 2013 წლის დეკემბერშიც მოიგო. ამჯერად მან 167 სახელმწიფო უწყებისთვის აიღო 27 844 500 ლიტრი „პრემიუმი" საწვავის 1.77 ლარად მიწოდების ვალდებულება აიღო.

კონსოლიდირებული სახელმწიფო ტენდერების გარდა, "ლუკოილ ჯორჯიას" სხვადასხვა წლებში მოგებული აქვს კონკრეტული სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცხადებული ტენდერებიც. მაგალითად, 2012 წლის მაისში "ლუკოილმა" გაიმარჯვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ 2 ტენდერში და ჯამში, სახელმწიფო უწყებასთან 3 849 070 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა. თავდაცვის სამინისტროს გარდა, "ლუკოილ ჯორჯიამ" 2011-2013 წლებში საწვავის მიწოდებაზე ხელშეკრულებები გააფორმა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და დაზვერვის სამსახურთანაც.



საერთო ჯამში მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მის მთავარ კონკურენტ „რომპეტროლ საქართველოს" რაოდენობრივად უფრო მეტი ტენდერი აქვს მოგებული (ჯამში 49), „ლუკოილ ჯორჯიას" სახელმწიფო ბიუჯეტიდან უფრო მეტი თანხა აქვს მიღებული. „რომეტროლ საქართველოს" მიერ მოგებული კონტრაქტების

საერთო სავარაუდო ღირებულება 19,182,031 ლარია, მაშინ როდესაც „ლუკოილ ჯორჯიას“ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 99,624,777 ლარს შეადგენს.

3.2. პეტროკას ენერჯი ლიმიტედი

„პეტროკას ენერჯი ლიმიტედი“ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიაა, რომელიც ახორციელებს საწვავის ექსპორტს ევროპიდან და აწვდის საქართველოში მოქმედ ბენზინგასამართი სადგურების სხვა ქსელს. კომპანიის წარმომადგენლთა თქმით, “პეტროკას ენერჯი ლიმიტედი” საქართველოში ფლობს ფოთის ნავთობტერმინალებს, ბენზინგასამართი სადგურების ქსელს, თუმცა, აღნიშნული მფლობელობა საქართველოს საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. გარიგებები ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების საშუალებით ხორციელდება.

დავით იაკობაშვილი

კომპანიის წარმომადგენლების საჯარო განცხადებების მიხედვით, “პეტროკას ენერჯი ლიმიტედის” ძირითადი მეწილე რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ბიზნესმენი დავით იაკობაშვილია, რომელიც ამჟამად შვეიცარიის მოქალაქეა. რუსულმა „ფორბსმა“ დავით

იაკობაშვილი რუსეთის ყველაზე მდიდარ ბიზნესმენთა შორის 2014 წელს 91-ე ადგილი მიანიჭა და მისი ქონება 1.2 მილიარდ აშშ დოლარად შეაფასა.

დავით იაკობაშვილი იყო წვენებისა და რძის ნაწარმის მწარმოებელი რუსული გიგანტი კომპანიის, "ვიმ ბილ დანის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქციონერი. მას ეკუთვნის ოფშორული კომპანია Milarm International Corp, რომლის მეშვეობითაც ფლობს სარეკლამო კომპანია „სმოდ ედვერთაიზინგს". 2013 წლის მაისში იაკობაშვილის წარმომადგენელმა საქართველოში, ალექსანდრე ბერიძემ, ფაქტობრივად, დაადასტურა იაკობაშვილის საკუთრებაში კიდევ ერთი სარეკლამო კომპანიის „აუთდორ ჯის" არსებობა. იაკობაშვილმა ოფშორული კომპანია Adprojects შეიძინა, რომელიც „აუთორ ჯის" ერთ-ერთი მფლობელია.

დავით იაკობაშვილმა ასევე ოფშორული კომპანიების მეშვეობით 2 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა „უნივერსალ კაპიტალ გრუპი" (UCG).[32]

გარდა ამისა, იაკობაშვილი რუსეთში ფლობს სხვადასხვა კომპანიებს, მათ შორის, ის არის ინდუსტრიული ჰოლდინგის, „ბიოენერგიას" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

3.3. „როსნეფტი"

2014 წლის 29 დეკემბერს რუსულმა კომპანია "როსნეფტმა" განაცხადა[33], რომ მან "პეტროკას ენერჯი ლიმიტედის" 49%-იანი წილი შეიძინა, თუმცა, აღნიშნული გარიგების შესახებ ინფორმაცია რეგისტრირებული არ არის საქართველოს საჯარო რეესტრში. სავარაუდოდ, აღნიშნული გარიგება ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა.

"როსნეფტის" ინფორმაციით, გარიგების შედეგად კომპანიამ გაიმყარა ლიდერის პოზიციები კავკასიის რეგიონში არსებულ ნავთობბაზარზე. გარდა ამისა, "როსნეფტისვე" განცხადებით,

---

[32] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2013, ვის ეკუთვნის საქართველო: დავით იაკობაშვილი – კეზერაშვილის კომპანიების ახალი მესაკუთრე http://www.transparency.ge/blog/vis-ekutvnis-sakartvelo-davit-iakobashvili-kezerashvilis-kompaniebis-akhali-mesakutre?page=3

[33] Роснефть, 2014, «Роснефть» и Petrocas создают совместное предприятие в области логистики и розничных продаж, http://www.rosneft.ru/news/pressrelease/29122014.html

“პეტროკასთან“ თანამშრომლობით მოხდება კავკასიისა და ცენტრალური აზიის მზარდი ბაზრების უკეთ ათვისება და ნავთობით მომარაგების დივერსიფიცირება.

„დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული გარიგება რეგიონის ენერგო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს”, - განაცხადა “როსნეფტის” ხელმძღვანელმა იგორ სეჩინმა.

“როსნეფტის” ინფორმაციით, „პეტროკას ენერჯი ლიმიტედის” 49% მათ დავით იაკობაშვილისგან შეიძინეს, კომპანიაში დანარჩენი წილი კი კვლავ იაკობაშვილის საკუთრებაში დარჩა. „როსნეფტის” 69.50%-ს ასევე რუსული კომპანია “როსნეფტგაზი” ფლობს, რომლის 100%-იანი მესაკუთრე რუსეთის სახელმწიფოა.

“როსნეფტსა” და “პეტროკას ენერჯი ლიმიტედს” შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას საქართველოში მაშინვე მოყვა საპარლამენტო უმცირესობისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტი.

საპარლამენტო უმცირესობამ საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვა, ხელი შეეშალა ფოთის ნავთობტერმინალის რუსულ სახელმწიფო კომპანიაზე მიყიდვისთვის. მოქალაქეთა ნაწილმა პეტიციაც კი შეიმუშავა, სადაც წერია[34]:

“როსნეფტი, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ, დასავლეთის ეკონომიკური სანქციების ადრესატი გახდა, 2009 წლიდან, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვების მიზნით, ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შავი ზღვის შელფს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით ამუშავებს.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საზღვაო აკვატორიაში და კონტინენტურ შელფზე კრძალავს ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოსგან

[34] ტაბულა, 2015, საქართველოს მოქალაქეები პეტიციით ROSNEFT-ის სანქცირებას მოითხოვენ, http://www.tabula.ge/ge/story/91457-saqartvelos-moqalaqeebi-peticiit-rosneft-is-sanqcirebas-moitxoven

ნებართვა ან ლიცენზირება სჭირდება. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს აქვს თავის ხმელეთზე და კონტინენტურ შელფზე არსებული ნავთობისა და გაზის რესურსების ძებნა-ძიებისა და ექსპლუატაციის ექსკლუზიური და სუვერენული უფლება, სახელმწიფოს სპეციალურ ლიცენზიას მოითხოვს არამხოლოდ ნავთობისა და გაზის მოპოვების დროს, არამედ მათი ძებნა-ძიების შემთხვევაშიც. ასეთი სახის ლიცენზია როსნეფტს არ გააჩნია, რაც ნიშნავს იმას, რომ მის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა უკანონოა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322 (2) მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მექანიზმს საქართველოს კანონიერი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიცია იყო, რომ ისინი ხელს ვერ შეუშლიდნენ ორ ბიზნეს სუბიექტს შორის ხელშეკრულების გაფორმებას.

"ეს ტრანზაქცია მოხდა ოფშორულ ანგარიშებზე. ჩვენ, სამწუხაროდ, ამ ტრანზაქციის კონტროლის არანაირი საშუალება არ გვაქვს. აქეთ მოდის ბრალდებები ჩვენკენ, რომ ვყიდით რაღაცას რუსულ კომპანიებზე. ნათლად ჩანს, ვინ ყიდის რუსულ სახელმწიფო სანქცირებულ კომპანიებზე საქართველოში არსებულ ქონებას, ამიტომ ჩვენ მიმართ ამ მხრივ ბრალდებები აბსოლუტურად გაუმართლებელია", - განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა[35].

[35] Netgazeti.ge, 2014, კვირიკაშვილი: ვერ მივიღებ ბრალდებებს, რომ ქონებას რუსულ კომპანიებზე ვყიდით, http://www.netgazeti.ge/GE/105/News/39974/

“ჩვენ არანაირი ბერკეტი არ გაგვაჩნია, რომ რაიმენაირად შევაფერხოთ ან ჩავშალოთ ეს ტრანზაქცია, რადგან ამის განხორციელება ოფშორულ ზონაში მოხდა”, - ეს განცხადება[36] კი ჟურნალისტებთან ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ გააკეთა.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში და „როსნეფტის“ პრეზიდენტი სერგეი ბოგდანჩიკოვი „როსნეფტის“ პირველი ბენზინგასამარრთი სადგურის მშენებლობის დაწყებზე აფხაზეთში. 2010წელი. წყარო:kavkaz-uzel.ru

“როსნეფტთან” დადებული გარიგება ასევე შეაფასა[37] “პეტროკასის” მფლობელმა ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა: “რატომ “როსნეფტი”, ეს იმიტომ, რომ “როსნეფტში” მნიშვნელოვანი წილი აქვს BP-ს. ძალიან განვითარებული კომპანიაა ძალიან დიდი შესაძლებლობებით. მე

[36] BPN, 2014, კახა კალაძე: ჩვენ არანაირი ბერკეტი არ გაგვაჩნია, რომ "როსნეფტთან" დაკავშირებული ტრანზაქციები ჩავშალოთ, http://bit.ly/1Iyo8kd

[37] Netgazeti.ge, 2015, იაკობაშვილი: "როსნეფტი" ფოთის ნავთობტერმინალში 200 მილიონამდე ინვესტიციას ჩადებს, http://www.netgazeti.ge/GE/105/business/40497/

პოლიტიკაში არ ვერევი და ასე მგონია, რომ მთავრობაც არ უნდა ჩაერიოს ბიზნესის საკითხებში. მთავრობას ის როლი აქვს, რომ ბიზნესის გაკეთება ყველას გაუიოლოს. უფრო მეტი ადამიანი დასაქმდება. ჩემს კომპანიებში 2000 ადამიანი მუშაობს და კიდევ დამატებით 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება. კიდევ იქნება ინვესტიციები 200 მილიონამდე".

რაც შეეხება "როსნეფტს", აღნიშნული კომპანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ნამდვილად ეწევა ბიზნეს საქმიანობას[38], კომპანია აფხაზეთში რამდენიმე ბენზინგასამართ სადგურს ფლობს, ასევე, იკვლევს ნავთობის მარაგებს.

გარდა ამისა, როგორც დასაწყისში უკვე აღინიშნა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა "როსნეფტს", ასევე "ლუკოილს" (რომლის შვილობილია საქართველოში მოქმედი "ლუკოილ ჯორჯია") ეკონომიკური სანქციები დაუწესა, მიზეზი კი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში დაწყებული საომარი ოპერაციები გახდა. ამ კომპანიებს საქართველოში რაიმე სანქცია არ დაკისრებია და შეუფერხებლად ფუნქციონირებენ.

3.4. "ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედი"

"პეტროკას ენერჯი ლიმითედის" ოფიცილურ მფლობელად საჯარო რეესტრში კვიპროსში რეგისტრირებული კომპანია "ნექსტრა სერვისიზ ლიმითედია" მითითებული, რომლის წარმომადგენელიც საქართველოს მოქალაქე რატი ჭელიძეა.

„პეტროკას ენერჯი ლიმითედის" დირექტორი საქართველოს მოქალაქე არჩილ ხელაშვილია.

სწორედ არჩილ ხელაშვილი არის კიდევ ერთი ოფშორული კომპანიის "ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის" წარმომადგენელი. ეს კომპანია ფოთის ნავთობტერმინალის მესაკუთრე კომპანია "შპს ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის" 32%-ს ფლობს.

[38] РН-Абхазия, http://www.abkhazia.rn-card.ru/ru/

საჯარო რეესტრში არსებულ “შპს ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის“ დოკუმენტებში, 2012 წელს, პარტნიორებს შორის წილების განაწილების ხელშეკრულებაში “ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის“ წარმომადგენელი “პეტროკას ენერჯი ლიმითედის” დირექტორი არჩილ ხელაშვილია.

ფოთის ნავთობტერმინალი. წყარო: sipi.ge

გარდა ამისა, შპს „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის“ მფლობელები ასევე არიან ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „დანედო მენეჯმენტ კორპ“ (16%) და „შპს ოტორა ტრეიდინგ“ (51%).

“ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის” დირექტორი დიდი ბრიტანეთის მოქალაქე კელვინ ვილლიამ ალდუსია, საშინაო ურთიერთობების დირექტორი - აშშ-ს მოქალაქე ჯოზეფ ფრენსის ქროული, ფინანსური დირექტორი - რუსეთის მოქალაქე სერგეი ვორონცოვი, კომერციისა და მარკეტინგის საკითხების დირექტორი - საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ბერიძე.

“ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედი” ასევე ფლობს შპს „ფოთი ოილ სერვისიზის” 50%-ს. ამ კომპანიის საქმიანობის სფეროდ მითითებულია სატერმინალო მომსახურება და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება.

“შპს ფოთი ოილ სერვისიზის” დანარჩენი 50%-ის მფლობელი “ჩენელ ენერჯი (ერა) ლიმიტედია”. “ჩენელ ენერჯი (ერა) ლიმიტედი” თავის მხრივ, “ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის” 75%-ს ფლობს, დანარჩენი 25% კი - სააქციო საზოგადოება “კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს ეკუთვნის”.

3.5. სან პეტროლიუმ ჯორჯია - გალფი

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ საქართველოში „გალფის“ ბრენდის 140 ბენზინგასამართ სადგურს ფლობს. კომპანიამ საქმიანობა 2010 წელს დაიწყო.

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ დირექტორი საქართველოს მოქალაქე გიორგი დევაძეა, კომპანიის 100%-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული Energy Investment Venture Holdings ფლობს.

როდესაც „როსნეფტმა“ დავით იაკობაშვილისგან „პეტროკას ენერჯი ლიმითედის“ 49% წილი შეიძინა, განცხადებაში აღნიშნა, რომ ნავთობტერმინალის გარდა, „პეტროკასი“ საქართველოში 140 ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურს ფლობდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან მალევე, 26 ნოემბერს „გალფმა“ განცხადება გაავრცელა, სადაც წერია[39]: „ცნობილმა ბიზნესმენმა და ფილანტროპმა, ბატონმა დავით იაკობაშვილმა, რომელიც კომპანია ,,გალფის" უმსხვილესი აქციონერია, ბოლო პერიოდში თავისი აქციათა პაკეტი კიდევ უფრო გაზარდა“.

აღნიშნულ პერიოდამდე „გალფის“ უმსხვილესი აქციონერი თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი იყო, რომლის მიმართ საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სისხლის სამართლის არაერთი საქმის გამოძიება დაიწყო და მას ამჟამად საქართველოს მთავარი პროკურატურა ეძებს.

„გალფის“ მიერ 2012 წლის 26 ნოემბრის განცხადებაში ასევე აღნიშნულია: ,,გალფ ჯორჯიას'' მენეჯმენტი აცხადებს რომ დავით კეზერაშვილი ამჟამად არ ირიცხება „გალფ ჯორჯიას“

[39] Galf.ge, 2012, ცნობილმა ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა კომპანია გალფში თავისი არსებული წილი გაზარდა, http://gulf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=33&info_id=159

აქციონერთა რიგებში. აქვე აღვიშნავთ, რომ გალფის მმართველი გუნდის ნაწილი, რომელიც შედგება ისრაელიდან ჩამოსული პროფესიონალებისგან, კომპანიის მენეჯმენტში რჩება“.

4. მადნეული

4.1. RMG Gold და RMG Copper

RMG Gold და RMG Copper ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიები არიან, რომელთა ერთადერთი მფლობელი ოფშორულ ზონაში, ნიდერლანდებში რეგისტრირებული Rich Metals Group-ია. მისი მფლობელები კი რუსი მილიარდერები, დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კორჟიევები არიან. საქართველოში ოქროს ერთადერთ საბადოზე მომუშავე კომპანიებს, „რიჩ მეტალს გრუპამდე“ სხვა მფლობელები ჰყავდათ, მათი ისტორია კი 1990-იან წლებში იწყება.

1994 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და ავსტრალიური კომპანია „კროპვუდ ლიმიტედის“ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა შპს „კვარციტი“ (ამჟამინდელი RMG Gold). სახელმწიფო წილის მფლობელი სააქციო საზოგადოება „მადნეული“ (ამჟამინდელი RMG Copper)იყო. შპს „კვარციტმა“ 1997 წელს პირველი ოქრო ჩამოასხა.

2003 წელს ხელისუფლების „ვარდების რევოლუციით“ შეცვლიდან დაახლოებით სამ კვირაში, ბოლნისში ძვირფასი მადნის მომპოვებელ ყველა კომპანიაში, მათ შორის „კვარციტში“, „მადნეულსა“ და მათთან დაკავშირებულ სხვა კომპანიებში პროკურატურა შევიდა. 2003 წლის 15 დეკემბერს აღნიშნული კომპანიებიდან საფინანსო დოკუმენტაცია მოსამართლის ბრძანებით ამოიღეს, რადგან დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ყალბი ანგარიშ-ფაქტურების დამზადების ფაქტზე. ამის შემდეგ მალევე, “კვარციტში” ავსტრალიური კომპანიის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა იმდროინდელი მმართველი გუნდისა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, მიხეილ მაჭავარიანის ძმა ივანე მაჭავარიანი.

2004 წლის ნოემბერში "კვარციტისა" და "მადნეულის" გენერალურ დირექტორად, ასევე, ორივე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი კობა ნაყოფია, რომელიც მოგვიანებით, 2008-2012 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა, ის იყო მმართველი გუნდის, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი.

კობა ნაყოფია ჟურნალ "ლიბერალთან" საუბარში იხსენებს, რომ 2004 წელს ის რუსეთში, რუსი მილიარდერის, სერგეი გენერალოვის კომპანია "პრომიშლენიე ინვესტორში" მუშაობდა, როცა მას საქართველოს ეკონომიკის სამინისტროდან, იმდროინდელი მინიტრის, კახა ბენდუქიძის სახელით დაურეკეს და საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზეს[40]. როგორც ნაყოფია იხსენებს, ბენდუქიძემ მას ასარჩევად "ჭიათურმანგანუმის", ან "მადნეულის" დირექტორობა შესთავაზა.

საქართველოს ხელისუფლებამ კობა ნაყოფიას ძვირფასი ლითონების მომპოვებელი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებისთვის მომზადება დაავალა, 2005 წელს კი გასაყიდად გამოიტანა. კომპანიებისადმი დაინტერესება დიდი იყო, თუმცა, საბოლოოდ, "მადნეული" და "კვარციტი" კობა ნაყოფიას ყოფილი პარტნიორის, სერგეი გენერალოვის ჰოლდინგის, "პრომიშლენიე ინვესტორის" შვილობილმა კომპანიამ "გეოპრომაინინგმა"(Stanton Equities Corporation) შეიძინა დაახლოებით 33 მილიონ აშშ დოლარად. ოფიციალურად, "გეოპრომაინინგი" ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული, თუმცა, "კვარციტისა" და "მადნეულის" რეალური მფლობელი რომ "პრომიშლენიე ინვესტორი" იყო, ამას კომპანიის ვებგვერდზე დღემდე განთავსებული ინფორმაციაც ადასტურებს.

რაც შეეხება "პრომიშლენიე ინვესტორის" მფლობელს, რუს მილიარდერ სერგეი გენერალოვს, ის რუსეთის პოლიტიკისა და ბიზნესის ერთ-ერთი გავლენიანი პერსონაა. "ფორბსის" 2015 წლის მონაცემებით, ის რუსეთში მდიდარ ბიზნესმენებს შორის 184-ე ადგილს იკავებს.[41]

ბიზნესთან ერთად, გენერალოვს რუსულ პოლიტიკაში მოღვაწეობის გამოცდილებაც აქვს. ის 1998-1999 წლებში რუსეთის ნავთობისა და ენერგეტიკის მინისტრი იყო, 2000-2003 წლებში კი რუსეთის დუმის დეპუტატი.

---

[40] ლიბერალი, 2012, მადნეული-იაფი საგანძური, http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/113284/
[41] Forbes.ru, http://www.forbes.ru/profile/sergei-generalov

.

კომპანიის განცხადებით, “მადნეულისა” და “კვარციტის” პრივატიზების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ძვირფასი ლითონების მოპოვება და წარმოებულმა პროდუქციამ ქართული ექსპორტის 8% დაიკავა[42].

დავით იაკობაშვილი და სერგეი გენერალოვი. წყარო Fb.ru

“გეოპრომაინინგმა” 2012 წლის 14 ივნისს განაცხადა[43], რომ 33 მილიონ აშშ დოლარად ნაყიდი სს “მადნეული” და “შპს კვარციტი” 120 მილიონ აშშ დოლარად “რიჩ მეტალს გრუპს” მიყიდა. კომპანიამ აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად ხელისუფლების მიერ ლიცენზიების სხვა კომპანიისთვის მიყიდვა დაასახელა. გარდა ამისა, “გეოპრომაინინგმა” განაცხადა, რომ მისი პრიორიტეტი სომხეთსა და რუსეთში არსებულ ოქროს საბადოებზე მუშაობა გახდა.

სს “მადნეულის” და შპს “კვარციტის” ერთადერთი მფლობელი ოფშორულ ზონაში, ნიდერლანდებში რეგისტრირებული “რიჩ მეტალს გრუპი” (Rich Metals Group) გახდა. აღნიშნული კომპანიის რეალური მფლობელები ასევე რუსი ბიზნესმენები, დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კორჟიევები არიან. გარიგების შემდეგ შპს “კვარციტს” დაერქვა “არ ემ ჯი ოლდი” (RMG Gold), სს “მადნეულს” კი RMG Copper.

[42] RMG Cooper, http://www.madneuli.itnovations.ge/static-38-4.html

[43] GPM, 2012, Объявление о продаже активов Группы ГеоПроМайнинг в Грузии, http://bit.ly/1zmjDqI

დმიტრი ტროიცკი „ფორბსის" 2015 წლის მონაცემებით[44], რუსეთის ყველაზე მდიდარ ბიზნესმენებს შორის 135-ე ადგილს იკავებს, ის მეგობარ დმიტრი კორჟევთან ერთად რუსეთში ბიზნესს 1993 წლიდან აწარმოებს. ისინი არიან სადილერო კომპანია "მეგა ავტოს" მფლობელები. აღნიშნული კომპანია რუსეთში BMW-ს, "ფოლკსვაგენის", "აუდის", "ჰიუნდაისა" და სხვა ბრენდების ავტომობილებს ყიდის. გარდა ამისა, კორჟევი და ტროიცკი რუსეთში ჰიპერმაკეტების ქსელ "ო'ქეის" ფლობენ. მათ მიერ დაარსებული წვენების მწარმოებელი კომპანია "მულტონი" "კოკა-კოლამ" 2005 წელს 500 მილიონ აშშ დოლარად იყიდა.

მას შემდეგ, რაც 2012 წლის ივნისში კორჟევისა და ტროიცკის „რიჩ მეტალს გრუპმა" ძვირფასი ლითონების მომპოვებელი საწარმოები შეიძინა, ბიზნესმენები პირადად ჩაერთნენ მათ მართვაში - დმიტრი ტროიცკი გახდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დმიტრი კორჟევი კი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ამის შემდეგ, RMG Goldსა და RMG Copper-ს მადნეულის მადანზე მომუშავე სხვადასხვა წვრილი კომპანია შეერწყა. "რიჩ მეტალს გრუპის" ცნობით[45], "არ ემ ჯის" მიერ წარმოებულ

RMG-ს მფლობელი დმიტრი ტროიცკი. წყარო: CBW.Ge

[44] Forbes.ru, http://www.forbes.ru/profile/dmitrii-troitskii
[45] Rich Metals Group, http://www.richmetalsgroup.com/index.php?a=main&pid=9&lang=geo

პროდუქციას ყიდულობენ მსხვილი საერთაშორისო ტრეიდერული კომპანიები. აფინაჟის (გაწმენდა) შედეგად მიღებული სუფთა ლითონები (ოქრო, სპილენძი, ვერცხლი) კი შემდგომში ლონდონის საფონდო ბირჟაზე იყიდება. RMG Gold და RMG Copper-ი საქართველოსა და ბოლნისის რაიონში უმსხვილესი დამსაქმებლები არიან. ორივე კომპანიაში 3000-მდე ადამიანი მუშაობს, რომელთა 90% ადგილობრივი მოსახლეა.

2012 წლიდან 2015 წლის აპრილამდე "არ ემ ჯის" კომპანიებში მენეჯმენტი რამდენჯერმე შეიცვალა, ამჟამად RMG Gold-ისა და RMG Copper-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან რუსეთის მოქალაქეები სერგეი ეგანოვი, ალვიდას ბრუსოკასი, მარინა ვოვკი და საქართველოს მოქალაქე ვახტანგ ფარესიშვილი. იმავე შემადგენლობისაა RMG Copper-ის სამეთვალყურეო საბჭოც.

ყოფილმა პარლამენტარმა და RMG Gold-ის გენერალურმა დირექტორმა კობა ნაყოფიამ 2015 წელს განაცხადა[46], რომ მან საკუთარი აქციები 2013 წლის ივლისში კომპანიის დღევანდელ მფლობელებს მიჰყიდა. აქციონერთა სია ოფიციალურად ამ დრომდე არ გასაჯაროვებულა. ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, RMG Copper-ი 2014 წელს იმ უმსხვილეს 20 კომპანიას შორის მოხვდა, რომელმაც საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განახორციელა.

3.2.2. საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ძეგლის განადგურება

გერმანიის, ბოხუმის სამთო მუზეუმის ექსპედიცია მეცნიერ თომას შტოლნერი ქართველ არქეოლოგებთან ერთად 2004 წლიდან იკვლევდა ბოლნისის რაიონში საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვს, სადაც ამჟამად კომპანია "არ ემ ჯი" მადნის მომპოვებელ სამუშაოებს აწარმოებს. მეცნიერთა ამ ჯგუფმა დაასკვნა, რომ საყდრისში იყო ოქროს უძველესი, 5 000 წლის მაღარო, აღნიშნულს ისინი ლაბორატორიული დასკვნების საფუძველზე ამტკიცებენ[47]. სწორედ ამიტომ, მათ სამოქალაქო აქტივისტებთან ერთად ხელისუფლებას და კომპანია "არ ემ ჯის"

[46] რუსთავი 2, 2015, კობა ნაყოფია "არ-ემ-ჯი გოლდში" რაიმე წილის ფლობას უარყოფს, http://rustavi2.com/ka/news/13630

[47] Ein 5000 Jahre altes Goldbergwerk in Georgien, https://www.youtube.com/watch?v=WtgUKOQUdnQ

მოსთხოვეს, საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე არ დაეწყოთ ოქროს მომპოვებელი სამუშაოები, მიეცათ მეცნიერებისთვის ტერიტორიის სრულყოფილად შესწავლის საშუალება და აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყოთ მუზეუმი.

საყდრისის ძეგლი 2006 წლიდან 2013 წლის 5 ივლისამდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებდა[48]. 2013 წლის 5 ივლისს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით მას არქეოლოგიური ძეგლის სტატუსი მოეხსნა. ხოლო პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით არქეოლოგური ძეგლის სტატუსის გარეშე დარჩა.

“არ ემ ჯის” მიერ საყდრისში სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლო დავა მიმდინარეობდა. სასამართლომ „არ ემ ჯის“ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საყდრისში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების ჩატარების უფლება არ_მისცა. მიუხედავად ამისა, კომპანიამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, საყდრისში მადნის მოპოვება დაიწყო და არქეოლოგიური უბანი ააფეთქა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საყდრისის აფეთქების გამო განახლებული საპროტესტო გამოსვლების პასუხად განაცხადა[49], რომ ის არ დაუშვებს საყდრისში სამუშაოების შეჩერებას და 3000 ადამიანის უმუშევრად დარჩენას.

---

[48] Netgazeti,ge, 2014, RMG Gold - მა საყდრის-ყაჩაღიანის N1 უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა, http://www.netgazeti.ge/GE/105/News/39404/

[49] Netgazeti.ge, 2014, საყდრისი, როგორც კულტურული მემკვიდრეობისადმი მთავრობის დამოკიდებულების მაგალითი, http://www.netgazeti.ge/GE/105/culture/39888/

“ამ კომპანიაში მუშაობს 3000 ოჯახი. 3000 ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის აღება არის ჩემთვის ყველაზე მთავარი. თუ გინდათ შევინარჩუნოთ ობიექტი, დავაკონსერვოთ და 3000 ოჯახი გავუშვათ სახლებში. მე ამ პასუხისმგებლობას ვერ აიღებ და არ ავიღებ. ამ 3000 ოჯახს მე დავიცავ და დიახაც, შევუქმნით იქ პირობებს, რომ გააგრძელონ იქ მუშაობა”, - თქვა პრემიერ მინისტრმა.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ 2015 წლის 24 აპრილს საქართველს მთავარ პროკურატურას მიმართა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მოთხოვნით, რადგან მიიჩნევს[50], რომ შპს RMG Gold-ს” 2014 წლის 13 დეკემბერს, საყდრისის ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე განხორციელებული აფეთქების დროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსგან მიღებული შესაბამისი ნებართვა არ ჰქონდა, შესაბამისად, მისი ქმედება უკანონო იყო.

2015 წლის აპრილში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოაქვეყნა[51] გარემოზე ზემოქმედების ანგარიში, სადაც მოხვდა შპს RMG Gold-იც. ანგარიშის მიხედვით, კომპანიის მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე მადნის გამოტუტვის შედეგად მიწის დაბინძურება/დეგრადაციის შედეგად გარემოს 29 153 880 ლარის ზიანი მიადგა.

ამავე ანგარიშის მიხედვით, შპს RMG Copper-ის მიერ მჟავე კარიერული წყლის მდ. კაზრეთულაში ჩაღვრით, გარემომ 1 078 188 ლარის ზიანი მიიღო.

---

[50] ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2015, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აფეთქების ფაქტზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიება უნდა დაიწყოს, https://gyla.ge/geo/news?info=2481

[51] Liberali,ge, 2015, სამინისტრო: საწარმოების მიერ გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 394 მილიონი ლარი შეადგინა, http://www.liberali.ge/ge/liberali/news/125000/

5. მინერალური წყლები

4.1. ბორჯომი

შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ აწარმოებს მინერალურ წყლებს - ბორჯომი, ლიკანი, ასევე სასმელ წყალს - ბორჯომის წყაროები, ბაკურიანი. ბორჯომის მოპოვების ლიცენზიას სწორედ ის ფლობს. მის საკუთრებაშია ჩამომსხმელი ქარხანა N1; ჩამომსხმელი ქარხანა N3.

“აიდიეს ბორჯომი საქართველო“ ყოფილი „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაა“. 2004 წელს ქართული კომპანიის ბაზაზე საერთაშორისო კომპანია „IDS Borjomi International“- ი შეიქმნა. შემოიერთა უკრაინული შპს „სამრეწველო–სადისტრიბუცო სისტემა“ და მორშინის მინერალური წყლების ქარხანა. მოგვიანებით, ამ გაერთიანებაში შევიდა რუსული მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანია „ედელვეის ელ“.

თავად “აიდიეს ბორჯომი საქართველოს” დირექტორი ზაზა კიკვაძეა, ოფიციალური მესაკუთრე არის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული “აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი”. მისი დირექტორი კი რუსეთის მოქალაქე ვლადიმირ აშუროვია. აშუროვი ხელმძღვანელობს IDS Borjomi International-საც.

საერთაშორისო კომპანია IDS Borjomi International დააფუძნა ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის, აგრეთვე რუსი ბიზნესმენების, ბორის აბრამოვიჩსა და ბორის ბერეზოვსკის მიერ შექმნილმა კომპანიამ Salford Capital Partners-მა. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, 2008 წელს, ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის მემკვიდრეებს შორის Salford Capital Partners-ის აქტივებზე სასამართლო დავა დაიწყო, რომელიც 2012 წლის სექტემბერში მორიგებით დასრულდა. ბერეზოვსკიმ სადავო აქტივები, მათ შორის, IDS Borjomi, ოფიციალურად, პატარკაციშვილის ოჯახს დაუთმო.

უკვე 2013 წლის დასაწყისში პატარკაციშვილებმა განაცხადეს, რომ IDS Borjomi International -ს საკონტროლო პაკეტი რუსი მილიარდელის, მიხაილ ფრიდმანის კუთვნილ უმსხვილეს საინვესტიციო კომპანია Alfa Group-ს 300 მილიონ დოლარად მიჰყიდეს. Alpa Group -ი ფლობს

საკომუნიკაციო კომპანია Vimpelcom-ის 44%-საც. ამ ჯგუფის წევრია საქართველოს ბაზარზე არსებული მობილური ოპერატორი “ბილაინი” (იურიდიული სახელწოდება მობიტელი).

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და მიხეილ ფრიდმანი წყარო:rusmafia.com

გაყიდვის მომენტში, IDS Borjomi-ის ყველა აქტივი რუსეთსა და უკრაინაში სასამართლოს მიერ დაპატიმრებული იყო. სწორედ ამიტომ, ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ IDS Borjomi, რომელიც რეალურად 700-800 მილიონი დოლარი ღირს და ყოველწლიურად 250 მილიონ სუფთა მოგებას ტოვებს, საკმაოდ დაბალ ფასად გაიყიდა.

6. კომუნიკაცია

6.1. ბილაინი

კავშირგაბმულობის კომპანია “მობიტელი” საქართველოში 2007 წელს “ბილაინის” ბრენდით შემოვიდა. კომპანია რუსული „ვიმპელკომის“ ჯგუფის წევრია. “ბილაინი” საკუთარ აბონენტებს ფიჭური კავშირის მომსახურებას აწვდის. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ცნობით, უკვე 2013 წლისთვის მობიტელის საბაზრო წილმა მობილური აბონენტების რაოდენობის მიხედვით 22.6% შეადგინა. მაგთიკომს 42.8%, ჯეოსელს კი ბაზრის - 33.9% ეკუთვნის. 2015 წლის თებერვლის მონაცემებით, მისი აბონენტების რაოდენობა 1,205,647 შეადგენს.

რუსულ კომპანია “ვიმპელკომის” მიერ “მობიტელში” განხორციელეული ინვესტიციის ოდენობა რუსეთიდან შემოსულ მსხვილ ინვესტიციებს შორისაა - 2010-2012 წლებში პირველ ადგილზე იყო, 2014 წელს კი მეორე ადგილი ეკავა. მას მხოლოდ დავით იაკობიშვილი მიერ „ვინ ბილ დანში“ განხორციელებული ინვესტიციების ოდენობამ გადაუსწრო.

“მობიტელის” ოფიციალური მფლობელები ოფშორული კომპანიები არიან „ვოთერთრაილ ინდასტრიზ“ (51%) „ინვესტიკო ალიანსე“ (29%) და მირენ ინვესტ (20%).

“მობიტელის” ცნობით, „ვიმპელკომი“ მომსახურებებს აწვდის მთელ მსოფლიოში, დაახლოებით 739 მილიონი ადამიანით დასახლებულ ტერიტორიაზე. „ვიმპელკომ ლტდ“ ჯგუფის კომპანიები მომსახურებებს შემდეგი ბრენდების სახელით აწვდიან: „ბილაინი“, „კიევსტარი“, „djuice“, „Wind“, „Infostrada“, „Mobilink“, „Banglalink“, „Telecel“ და „Djezzy“. აბონენტების ჯამური რაოდენობა 2014 წლის 30 ივნისის მონაცემებით 220 მილიონია.

ვიმპელკომის აქციათა ხმათა 43% ნორვეგიულ საკომუნიკაციო კომპანია Telenor-ს ეკუთვნის. 47.9% რუსი ოლიგარქის, მიხაილ ფრიდმანის კუთვნილი კონსორციუმის ალფა ჯგუფის წევრი Altimo-ს ეკუთვნის, ფორბსის 2014 წლის მონაცემებით, ფრიდმანი ყველაზე მდიდარ რუს ბიზნესმენებს შორის მეორე ადგილზეა.

2014 წლის ფორბსის მონაცემებით, ფრიდმანი ყველაზე მდიდარ რუს ბიზნესმენებს შორის მეორე ადგილზეა.

მასვე ეკუთვნის მინერალური წყლების კომპანია “შპს აიდიეს ბორჯომი საქართველო ” ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებმა კომპანია "IDS Borjomi"-ს საკონტროლო პაკეტი "Альфа-Групп"-ს 2013 წელს მიჰყიდეს.

საქართველოში „მობიტელის“ დირექტორი 2013 წლის იანვრიდან გიორგი ტყეშელაშვილია. პარტნიორთა იმ კრებაზე, რომელზეც ტყელაშვილი დირექტორად აირჩიეს, სამეთვალყურეო

მიხაილ ფრიდმანი და Telenor-ის ხელმძღვანელი ჯონ ფრედერიკ ბაკსასი, ვიმპელკომში Telenor-ის ინვესტიციების განხორციელების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. 2002. უკანა ფონზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. წყარო: Telenor.com

საბჭოს წევრის სტატუსით სხდომას ესწრებოდა ლევან ყარამანიშვილიც, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ერთ-ერთი მფლობელი. უკვე ივნისში გამართულ სხდომას, სადაც საბჭოს წევრებად თეიმურაზ არონია და ხვიჩა მაქაცარია აირჩიეს, ყარამანიშვილი აღარ მონაწილეობდა, თუმცა სამეწარმეო რეესტრში არ არის დაცული დოკუმენტი, სადაც საბჭოდან ყარამანიშვილის გასვლაზეა საუბარი.

2013 წლის 24 ივნისის მონაცემებით, „მობიტელის“ სამეთვალყურეო საბჭოში შედიან რუსეთის მოქალაქეები - ილია ჩულიუკინი, დმიტრი კრომსკი, ზაურეშ ლისიცინა და საქართველოს მოქალაქეები - თეიმურაზ არონია, ხვიჩა მაქაცარია. ეს უკანასკნელი სამეთვალყურეო საბჭოში 2013 წელს შევიდა.

თეიმურაზ არონია და ხვიჩა მაქაცარია საქართველოში მსხვილ ბიზნესებს ფლობენ. ისინი ცნობილი ქართველი ბიზნესმენი ძმების მერაბ და რევაზ შარანგიების ბიზნესპარტნიორები

იყვნენ. მაქაცარიამ და არონიამ 2013 წელს დააფუძნეს კომპანია Caucaus Business Solution (CBS) სადაც 11 კომპანია გააერთიანეს[52].

მათ შორისაა სატელეკომუნიკაციო კომპანია "კავკასუს ონლაინი". 2015 წლის თებერვლის მონაცემებით, 156,422 აბონენტი ჰყავს და ამ მაჩვენებლით ქართულ ბაზარზე მხოლოდ სილქნეტს ჩამორჩება. „კავკასუს ონლაინის" ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, კომპანია საქართველოში ინტერნეტის მიწოდების 55%-ს უზრუნველყოფს.

მაქაცარიასა და არონიას საკუთრებაშია შპს ,,თბილისის მიკროავტობუსი", რომელიც 2011 წელს დაარსდა, ქ.თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ოთხი კომპანიის - შპს ,,თბილ ლაინის", შპს ,,კაპიტალ გრუპის", შპს ,,ფაბლიქ ქარის" და შპს ,,თბილ ქარის" მართვას ახორციელებს. აღნიშნულმა კომპანიებმა ოცი წლის ვადით ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანის ნებართვა მოიპოვეს.

CBS ჰოლდინგის წევრია ტოტალიზატორი „ევროპაბეთი", სატელეკომუნიკაციო კომპანია „რიკინიგზის ტელეკომპანი", სასტუმრო ბათუმში „ინტურისტ პალასი", რესტორნების ქსელი და ლუდსახარში „მირზაანი", რესტორნების ქსელი GMC Group, რომელიც აერთიანებს და მენეჯმენტს უწევს ცნობილ რესტორნებს ,,ძველი სახლი'', ,,შემოიხედე გენაცვალე'', ,,სლოვინსკაია'', "ქალაქური", "მატრიოშკა", "გურმანი", რესტორანი-ტერასა ,,BOHEMA''.

[52] Caucaus Business Solution, კომპანიების ჯგუფი, http://cbsgroup.ge/ge/group-companies?i=1

CBS-ს ეკუთვნის სარეკლამო სააგენტო „ელეფანტი“, თელეთის ხორცკომბინატი და ეწ „დეზერტირების ბაზარი“.

7. სს ელმავალმშენებელი

რუსეთის მოქალაქეების ხელშია სს "ელმავალმშენებელი" - მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების მწარმოებელი. „ელმავალმშენებლის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, ელმავლები ВЛ10У, ВЛ11М, ВЛ15 აწარმოებენ რუსეთის რკინიგზების ნახევარზე მეტ ყველა სატვირთო გადაზიდვას. საწარმო ახორციელებს ხვადასხვა მოდიფიკაციების მაგისტრალური და სამრეწველო ელმავლების მოდერნიზაციას და კაპიტალურ შეკეთებას შემკვეთების მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

ქარხნის ისტორია 1949 წლიდან იწყება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ის ქონების მართვის სააგენტოს და საქართველოს რკინიგზას ეკუთვნოდა. მოგვიანებით, 2002 წელს აქციათა 75 პროცენტი საწარმოს დირექტორმა ზურაბ ცინცაძემ 155000 აშშ დოლარად შეიძინა. 24% სახელმწიფოს საწარმოთა მართვის სააგენტოს საკუთრებაში დარჩა, დანარჩენი 0.2% აქციების თანამშრომლებს ეკუთვნოდათ. მისი საწესდებო კაპიტალი კი 50 მილიონ ლარს აჭარბებდა.

ელმავალმშენებლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში რუსეთის მოქალაქეები 2005 წლიდან ჩნდებიან, როდესაც რუსულმა Dema Compiuters-მა აქციათა 51% შეიძინა. 36% ზურაბ ცინცაძეს, 12,76% კი საწარმოთა მართვის სააგენტოს დარჩა. სამეწარმეო რეესტრში დაცული დაკომუნეტებიდან არ ჩანს, რა თანხად იყიდა საკონტროლო პაკეტი Dema Computers-მა.

სამეთვალყურეო საბჭოშიც Dema Compiuters-ის 4 წარმომადგენელი შევიდა - რუსეთის მოქალაქეები - იგორ ტუგბაევი, რომელიც 1998 წლიდან მუშაობდა სათადარიგო ნაწილებით მომარაგების ხელმძღვანელად რუსეთის ფედერაციაში, ოლეგ ზირიანოვი - წლების განმავლობაში ვოლგადონის რაიონის პროკურორის თანაშემწე იყო, გენადი ბოიარსკიხი - Dema Compiuters-ში მოსვლამდე რუსეთის ფედერაციის სალოკომოტივო მეურნეობის დეპარტამენტის უფროსის პოსტი ეკავა და ელენე ალექსანდროვა - მუშაობდა სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საწარმოს ფინანსურ დირექტორად რუსეთის ფედერაციაში. Dema Compiuters-ს გადაერქვა სახელი და ახლა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულია როგორც Loko trans Holding. 2015 წლისთვის მას „ელმავალშენებლის“ აქციათა 87% ეკუთვნის.

ელმავალმშენებელი ქარხნის მუშების გაფიცვა 2013 წელი.
წყარო: ტელეკომპანია კავკასია

საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში ასევე არიან ზურაბ ცინცაძის მიერ წარდგენილი კანდიდატები იური ჯიშკარიანი, კონსტანტინე ზალდასტანიშვილი და დავით ბერიძე.

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი არის ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი. იყო ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის გამგეობის წევრი. საბჭოს შემადგენლობა 2015 წლის მდგომარეობითაც იგივეა.

ელმავალმშენებელი ქარხნის 1200-მდე თანამშრომლებმა მძიმე სამუშაო პირობების და უხელფასობის გამო უკმაყოფილება რამდენჯერმე გამოთქვეს. ბოლოს აქცია მათ 2015 წლის იანვარში გამართეს და თქვეს, რომ ქარხანა ფაქტობრიბად 7 თვეა არ მუშაობს.

ხელმძღვანელობა შექმნილ მდგომარეობას წაგებულ სახელმწიფო ტენდერსა და უკრაინაში არსებულ მძიმე მდგომარეობას ასახელებდა, საიდანაც მსხვილი შეკვეთა უნდა ჰქონოდა.

Tendersmonitor.ge-ზე დაცული მონაცემებით, ელმავალმშენებელს სულ 5 ტენდერში აქვს მონაწილეობა მიღებული საიდანაც 3 შემთხვევაში გაიმარჯვა. კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება 935,200 ლარია.

8. ბანკები

8.1. სს ვითიბი ბანკი ჯორჯია

ვასილ ტიტოვი. წყარო: rsport.ru

"ვითიბი ბანკი ჯორჯია" ყოფილი გაერთიანებული ქართული ბანკია. ეროვნული ბანკისთვის 2014 წელს წარდგენილი მონაცემებით, "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციათა 96.81%-ს რუსული ღსს "ვითიბი ბანკი" ფლობს. ამ უკანასკნელის აქციების 58.99% მფლობელი[53] რუსეთის სახელმწიფოა. რუსული "ვითიბი ბანკი" რამდენიმე ათეულ საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციას ფლობს ევროპისა და აზიის ქვეყნებში. საქართველოში არსებული „ვითიბი ბანკიც" მათ შორისაა.

[53] http://www.vtb.com/group/

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ აქციები რუსულმა “ვითიბიმ” 2005 წელს შეიძინა. კომპანიის რებრენდინგი 2006 წლის დეკემბერში განხორციელდა, შეიცვალა სახელწოდება და “ვით იბი ბანკი” ეწოდა.

“ვითიბი ბანკის ჯორჯიას” სამეთვალყურეო საბჭოს წევრები რუსეთის მოქალაქეები არიან. საბჭოს ხელმძღვანელობს ვასილ ტიტოვი, რომელიც რუსული “ვითიბი ბანკის” პრეზიდენტის პირველი მოადგილეა. საბჭოში ასევე შედიან ცენტრალური ბანკის მენეჯერები - ვიცე პრეზიდენტი მიხეილ იაკუნინი, ცენტრალური აზრიის ბანკების ფილიალების ხელმძღვანელი განყოფილების მენეჯერი სერგეი ცარიოვი, საცალო გაყიდვების განყოფილების ზედამხედველი სვსევოლოდ სმაკოვი, რომელიც გარდა საქართველოში არსებული “ვითიბი ბანკისა”, “ვითიბი ჯგუფში“ შემავალი ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს წევრია ბელარუსში, ყაზახეთში, საფრანგეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

„ვითიბი ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია საქართველოს მოქალაქე გრიგოლ ლომიძეც. ის პარალელურად არის “ქართული ხორცის ასოციაციის” თავმჯდომარე, აგრეთვე, შპს “ქავერ კორპის” დირექტორი და 50% წილის მფლობელი. მის საკუთრებაშია ასევე შპს “ბესიკის ბიზნესცენტრი” (25%), შპს „იბერულა“ (33%) და შპს “მალი ჯგუფი” (33.33%).

“ვითიბი ბანკი ჯორჯიას” გენერალური დირექტორი 2009 წლიდან არჩილ კონცელიძეა.

9. ყველაზე მსხვილი ინვესტიციები რუსეთიდან

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2014 წელს საქართველოში რუსეთიდან 66 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა და ამ მოცულობით რუსეთი საქართველოში შემოსულ პირდაპირ ინვესტიციებს შორის მერვე ადგილას დგას. პირველ ადგილს ნიდერლანდები იკავებს 331 მილიონი დოლარის ინვესტიციით. აღსანიშნავია, რომ

ნიდერლანდებში ოფშორული ზონაა, სადაც ძირითადად რეგისტრირებულები არიან ის კომპანიები, რომლებიც მსხვილ ინვესტიციებს ახორციელებენ. ამ ოფშორული კომპანიების უკან რეალურად სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები დგანან, მათ შორის რუსეთისაც.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014 წელს რუსეთიდან ყველაზე მსხვილი ინვესტიციები განხორციელდა შემდეგ კომპანიებში: შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“, შპს „მობიტელი[54]“, შპს „ენერგია[55]“, შპს „ჯლს“, შპს „კარლსბერგ საქართველო“, შპს „ელექტრონი“, შპს Club-2100, შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ“, შპს ELITE DEVELOPMENT, შპს „ემბავუდ ჯორჯია“. 2013 წელს ამ სიაში შედიოდა „ტიფლისკი ვინნი პოგრებ“, „სტრომოსი“ და „ტრიდე“

9.1. შპს ვიმ-ბილ-დან საქართველო

„ვიმ ბილ დან საქართველო“ რძის პროდუქტების მწარმოებელი რუსული სს „ვიმ-ბილ-დანის“ მფლობელობაში მყოფი კომპანიაა. საქართველოში 2008 წელს დარეგისტრირდა. კომპანიის დამფუძნებელი რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ბიზნესმენი დავით იაკობაშვილია. ქართულ ბაზარზე მისი პროდუქცია ცნობილია სახელწოდებით “სოფლის ნობათი”.

2011 წელს ვიმ ბილ დანის აქციათა 66% პეპსიკომ 3.8 მილიარდ დოლარად იყიდა[56]. მანამდე ის 11%-ს ფლობდა. ამ გარიგებთ “პეპსიკო” ჯამში კომპანიის აქციების 77%-ს მფლობელი გახდა. თავად პეპსიკოს ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში “იბერიარეფრეშმენტსია”.

[54] ვრცლად იხილეთ თავი 6.1.
[55] ვრცლად იხილეთ თავი 1.3.
[56] Pepsico, 2011, PepsiCo Completes Acquisition of 66% of Wimm-Bill-Dann, http://www.pepsico.eu/media/releases/wimmbilldann.html

2014 წლის 1 ივლისს შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველოს“ დირექტორად დაინიშნა ეროვნებით რუსი ოლექსანდრ კისელოვ. მანამდე კომპანიას სამი პირი ხელმძღვანელობდა - გიორგი ბახტაძე, ნუნუ ფორჩხიძე და ყაზახეთის მოქალაქე ოლგა რიაბოვა.

9.2. შპს ჯლს

უძრავი ქონების კომპანია ჯლს საქართველოში 2014 წელს დარეგისტრირდა. იმავე წელს რუსეთის მოქალაქე ვიქტორია გამმერის მიერ ამ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია რუსეთიდან შემოსულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორის მოხვდა. კომპანიის 50%-ს სწორედ გამმერი ფლობს, დანარჩენი 50% წილი კი არჩილ მაზიაშვილის საკუთრებაშია.

კომპანიის მფლობელობაშია თბილისში მოსკოვის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთები, რომელთა საერთო ფართობი 55 860კვ.მ.-ია. აღნიშნული ფართები ვიქტორია გამმერმა საწესდებო კაპიტალში თავად შეიტანა.

„ჯლს-ის“ საქმიანობას სწორედ ამ სასაწყობე ფართების გაქირავება წარმოადგენს. არჩილ მაზიაშვილსა და ვიქტორია გამმერს ასევე ეკუთვნის შპს სადაზღვეო კომპანია არბა ჯგუფი. მაზიაშვილის საკუთრებაშია შპს შაბა (50%), „ბაზის ესეტ მენეჯმენტი“ (25%) და შპს „ჯი თი ეიჩი“ (100%).

9.3. კარლსბერგ საქართველო

საქართველოში რუსეთიდან 2014 წელს განხორციელებულ მსხვილ ინვესტიციებს შორისაა ღსს „ლუდსახარში კომპანია ბალტიკას“ მიერ შპს “კარლსბერგ საქართველოში” გადარიცხული თანხები.

შპს "კარლსბერგ საქართველოს" ერთპიროვნული მფლობელი რუსული შპს "ლუდსახარში კომპანია ბალტიკაა". სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან რუსეთის მოქალაქე ანტონ როგაჩევსკი, რომელიც რუსული ღსს "ლუდსახარში ბალტიკის" ვიცე პრეზიდენტია იურიდიულ საკითხებში, დანიის მოქალაქე ტომას კეჟლერ ჰანსენ და პოლონეთის მოქალაქე იაცეკ კშიშტოფ პასტუშკა - ეს უკანასკნელი "კარლსბერგის ჯგუფის" ვიცე პრეზიდენტია აღმოსავლეთ ევროპაში და რუსეთში არსებული "ლუდსახარში ბალტიკის" პრეზიდენტია.

2012 წელს "ლუდსახარში ბალტიკის" 100 პროცენტი დანიურმა კონცერნმა "კარლსბერგი ჯგუფმა" იყიდა. რეორგანიზაციის პროცესი 2014 წლის იანვარში დასრულდა. 2014 წლის მონაცემებით, კარლსბერგი მსოფლიოში ყველაზე მსხვილ ლუდის მწარმოებლებს შორის მეოთხე ადგილზეა.

ბალტიკა თვეში დაახლოებით 2. 5 მილიონ ლიტრ ლუდს ასხამს. კომპანიის მონაცემებით, საქართველოს გარდა ლუდის ექსპორტს კიდევ 74 ქვეყანაში ეწევა.

9.4. შპს ელექტრონი

შპს ელექტრონი ქართულ ბაზარზე 2004 წელს გამოჩნდა. კომპანია სხვდასხვა ტიპის კაბელების დისტრიბუციას ეწევა, მათ შორისაა სამონტაჟო და ძალოვანი სადენები; სატელეფონო, ინტერნეტის, სახანძრო, ბოჭკოვანი, ალუმინის და სპილენძის სადენები, ავტომატური ამომრთველები და მასთან დაკავშირებული აქსესუარები.

კომპანიის 40 პროცენტის მფლობელი რუსეთის მოქალაქეობის მქონე ხვიჩა ფორჩხიძეა. 20-20% ეკუთვნით კობა გოგატიშვილს, მალხაზ გოგატიშვილს და კახაბერ სახამბერიძეს. შპს „ელექტრონში“ განხორციელებული ინვესტიცია რუსეთიდან განხორციელებულ ყველა მსხვილ ინვესტიციებს შორის იყო 2010, 2011, 2012, 2014 წლებში.

შპს „ელექტრონმა“ 2011-2014 წლებში სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ სულ 8 ტენდერში მიიღო მონაწილეობა და 4 შემთხვევაში გაიმარჯვა, ერთი ტენდერი ამჟამად მიმდინარეა. კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება 149 235 ლარია.

9.5. შპს Club-2100

2013 წელს დაფუძნდა შპს “Club-2100”, რომელმაც გუდაურში ამავე სახელწოდების სასტუმრო ააშენა. 54 ნომრიანი სასტუმრო ზღვის დონიდან 2100 მეტრზე მდებარეობს. მშენებლობა რუსეთის მოქალაქე ალექსანდრე რომანოვის ინვესტიციით განხორციელდა. მის საკუთრებაშია კომპანიის 90 პროცენტი. დანარჩენი 10% კი სასტუმროს დირექტორს ზურაბ კიკნაველიძეს ეკუთვნის.

ალექსანდრ რომანოვის საკუთრებაში არსებული სხვა ბიზნესი საქართველოში არ ფიქსირდება.

9.6. შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ

2014 წელს რუსეთიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორის მოხვდა „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტში“ რუსეთის მოქალაქის ოლეგ პრედტეჩენსკის მიერ განხორციელებული ინვესტიცია. კომპანიაში ის 50% წილის მფლობელია.

ოლეგ პრედეჩენსკი

ოლეგ პრედტეჩენსკის კავშირები საქართველოსთან ჯერ კიდევ 1980-იან წლებში ჰქონდა. მან 1998 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ის 2003 წლამდე სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებში მუშაობდა ფინანსურ დირექტორად. პრედტეჩენსკი 2003-2008 წლებში იყო "როსენერგობანკის" ვიცე-პრეზიდენტი. აღნიშნული ბანკი 2014 წელს მოხვდა კანადის მიერ უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო სანქცირებულ რუსულ კომპანიებს შორის.[57]

ოლეგ პრედტეჩენსკი 2008 წლის შემდგომ მუშაობდა უმსხვილესი რუსული ავტომწარმოებლის "ავტოვაზის" მენემენტში[58], სხვადასხვა დროს ის ასევე იყო კომპანია "ლადა კრედიტის" ხელმძღვანელი. 2010 წლის მიწურულ ოლეგ პრედტეჩენსკი რუსული "ნოვიკომბანკის" პრეზიდენტის მოადგილე გახდა.

პრედჩენსკის ბიზნესპარტნიორია დავით გიორგობიანი, რომელსაც „ჯორჯიან ჰოტელს მენეჯმენტის" დანარჩენი 50 პროცენტი ეკუთვნის. პრედტეჩენსკი და გიორგობიანი ასევე ფლობენ შპს "წყნეთი დეველოპმენტს" და "ბიბისი მენეჯმენტს".

დავით გიორგობიანი არის "ჰიუნდაი ავტო საქართველოს" ხელმძღვანელი. ამ კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ცნობილი ბიზნესმენის და საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გოგი თოფაძის შვილი ირაკლი თოფაძეა. „ჰიუნდაი ავტო საქართველოს" 2011-2015 წლებში 191 სახელმწიფო ტენდერში აქვს მონაწილეობა მიღებული. აქედან მხოლოდ 22 ტენდერი წააგო. კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება 14,779,767 ლარია.

[57] Nationalpost Canada slaps Russia with more sanctions as 'military aggression persists' http://bit.ly/1JHS1zW

[58] Bosefa.ru, http://bosfera.ru/dossier/olegpredtechenskijaleksandrovich

სახელმწიფო ტენდერის მოგების შედეგად 3,750,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიასთან დავით გიორგობიანის კიდევ ერთმა საავტომობილო კომპანია „დუსან ჯორჯიამ“.

გიორგობიანი და თოფაძე ერთად ფლობენ გოგი თოფაძის მიერ დაფუძნებულ კომპანიას “ყაზბეგი ფშაველი”. კომპანიის საქმიანობის სფეროა ხე-ტყის მოპოვება, გადამუშავება და რეალიზაცია,

დავით გიორგობიანის საკუთრებაშია საქართველოს სატრანსპორტო კომპანიის 55% წილი, დანარჩენი 45% რუსეთის მოქალაქე ოთარ ეხვაიას ეკუთვნის. ამ კომპანიას ეკუთვნის ის სამარშუტო ტაქსები, რომელიც რუსთავიდან თბილისში სპორტის სასახლემდე გადაჰყავს მგზავრები.[59]

დავით გიორგობანი კიდევ რამდენიმე შპს-ს ფლობს, მათ შორისაა ავტონაწილების დისტრიბუტორი კომპანია “ევრომოტორსი” (20%), “ვილიამა სერვისი” (100%) “გიმპექს” (100%) და “დ&გ უძრავი ქონება” (100)

აღსანიშნავია, რომ დავით გიორგობიანმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ნაციონალურ მოძრაობას 20 000 ლარი შესწირა.

9.7. შპს ELITE DEVELOPMENT

„ელიტ დეველოპმენტი“, რომლმაც 2014 წელს სახლი “ქობულეთის რეზიდენცია” ააშენა, იმ კომპანიებს შორის მოხვდა, სადაც რუსეთიდან მსხვილი ინვესტიცია განხორციელდა. ქობულეთში შავი ზღვის პირად განთავსებული შენობა 313 ბინას მოიცავს. საერთო ფართი 3404 კვმ-ია.

[59] რადიო თავისუფლება, 2011, სამარშრუტო ტაქსების ტარიფი, http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2269038.html

ELITE DEVELOPMENT -ს რუსეთის მოქალაქე ოლგა მოისეენკოვი ხელმძღვანელობს. მის მამას, ვლადიმერ მოისეენკოვს კი ეკუთვნის კომპანიის 30%. დანარჩენი 70 ასევე ოლგა მოისეენკოვის კუთვნილი კომპანიის AIRLINE TRANSPORT INCORPORATION - ის საკუთრებაშია.

ოლგა და ვლადიმერ მოისეენკოვები ფლობენ შპს green village საც. ამ კომპანიის საკუთრებაშია ლაგოდეხში 157 469 კვმ ფართობის სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

9.8. ემბავუდ ჯორჯია

2013-2014 წლებში რუსეთიდან შემოსულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორის მოხვდა ავეჯის მწარმოებელი შპს ემბავუდ ჯორჯიაც. კომპანიაში წილები ასე ნაწილდება 32%-ს ფლობს რუსეთის მოქალაქე ბაშირ ისრაფილ ოღლი სულთანოვი, ამდენივე წილი არის აშჰურ აზერბაიჯანის მოქალაქე შაჰბაზ ოღლი მამმადოვის საკუთრებაში, 36% კი ასევე აზერბაიჯანის მოქალაქე ელშად აბბასოვს ეკუთვნის.

ემბავუდის საკუთრებაშია 2559.1 კვმ საოფისე კომერციული და დამხმარე ფართი თბილისში აღმაშენებლის ხეივანში.

9.9. ტიფლისკი ვინნი პოგრებ

2013 წელს რუსეთიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორისაა რუსული დახურული სს დიონისის მიერ განხორციელებული ინვესტიცია ღვინის მწარმოებელ კომპანიაში "ტიფლისსკი ვინნი პოგრებ", რომელიც საქართველოში 2003 წელს დაფუძნდა.

სამეწარმეო რეესტრის მიხედვით, ამჟამად კომპანიის ოფიციალური მფლობელი რუსეთში დაფუძნებილი შპს "დკ-სერვისია". დოკუმენტებით ირკვევა, რომ "ტიფლისკი ვინნი

პოგრების” 100 პროცენტიანი წილი “დიონისემ” “დკ სერვისს” 2014წლის ოქტომბერში 2 ათას ლარად მიჰყიდა.

“დკ-სერვისის” მფლობელი რუსეთის მოქალაქე ელენა შჩელკანოვაა, გენერალური დირექტორი კი - იმავე ქვეყნის მოქალაქე ნაძეჟდა სტროკატოვა.

ვიდრე “დიონისე” “დკ სერვისს” მიყიდიდა, “ტიფლისკი ვინი პოგრების” დირექტორი რუსეთის მოქალაქე გერმან ლისოვი იყო. 2014 წლის ოქტომბრიდან ამ პოსტს ნინო ხაზიური იკავებს, რომელიც მანამდეც მუშაობდა ამ კომპანიაში.

„ღვინის ეროვნული სააგენტოს“ ინფორმაციით ღვინის მწარმოებელმა კომპანია ,,ტიფლისსკი ვინნი პოგრებმა'' 2013 წელს ყველაზე მეტი 6500 ტონამდე ყურძენი ჩაიბარა. რაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 5 200 000 ლარის ოდენობის აგროკრედიტით მოახერხა.

2010 წელს საქართველოდან ღვინის ექსპორტის მიხედვით, ტიფლისკი ვინნი პოგრები მეორე ადგილზე იყო[60] “თბილღვინოს” შემდეგ. კომპანიის დირექტორმა ნინო ხაზიურმა 2013 წელს განაცხადა, რომ 2014 წლისთვის მხოლოდ რუსეთის ბაზრისთვის 4 მილიონი ბოთლი ღვინის ჩამოსხმას აპირებდნენ. მისივე თქმით, კომპანია ორიენტირებული იყო რუსეთის ბაზარზე თუმცა, გარდა რუსეთისა მათ მიერ წარმოებული პროდუქცია იყიდება გერმანიაში, პოლონეშში, უკრაინაში, ყაზახეთში, ლატვიაში, ისრაელში. კანადასა და აშშ-ში.

9.10. შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი

რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომში განხორციელებული ინვესტიცია 2013 წელს რუსეთიდან შემოსულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორისაა. 2014 წლამდე კომპანია

[60] გაზეთი რეზონანსი, 2010, დიდი ჩავარდნის შემდეგ 50%-იანი მატება ბევრს არაფერს ნიშნავს, http://resonancedaily.com/index.php/index.php?id_rub=3&id_artc=3380

ცნობილი იყოს სახელით "სტრომოსი". კომპანიის მფლობელი რუსეთის მოქალაქე, ცნობილი მრბოლელი შოთა აფხაზავაა.

რუსთავის საერთაშორისო სარბოლო ტრასა, რომელიც 1978 წელს აშენდა მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 20-ე კილომეტრზე. საბჭოთა კავშირის შემდეგ გზის საფარის რეკონსტრუირებული არ ყოფილა.

2006 წელს საქართველოს სტუმრად ეწვია საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) მაშინდელი პრეზიდენტი მაქს მოსლი. საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ რუსთავის დანგრეული ავტოდრომის ნაშთი გადაცემოდა საქართველოს საავტომობილო ფედერაციას, რაც რეალურად მხოლოდ 2008 წლის გაზაფხულზე განხორციელდა.

მარცხნიდან მარჯვნივ: სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, FIA) პრეზიდენტი ჟან ტოდტი და შოთა აფხაზავა. 2011. წყარო : autobuild.ge

2009 წელს საქართველოს პრეზიდენტის მითითებით აღნიშნული ქონება ჩამოერთვა საქართველოს საავტომობილო ფედერაციას და ფორმალური აუქციონით მიეყიდა საავტომობილო ფედერაციის მიერ მოძიებულ პოტენციურ ინვესტორს და 2009 წელს მიწის ნაკვეთი ტრიბუნების ნანგრევებითა და ნახევრად განადგურებული გზის საფარით სახელმწიფო აუქციონზე შესყიდული იქნა რუსული კერძო კომპანიის „სტრომოსის" მიერ. განხორციელდა 25 მილიონის ინვესტიცია და განახლებული ავტოდრომი 2012 წლის აპრილში იმ დროს ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა.[61] რუსული "სტრომოსის" მფლობელიც შოთა აფხაზავაა.

[61] GHN, 2012, მიხეილ სააკაშვილი: ავტოდრომის გახსნა რუსთაველებისთვის მნიშვნელოვანია, http://www.ghn.ge/com/news/view/65405

2013 წელს ჟურნალ Forbs-Georgia-სთან საუბრისას განაცხადა[62]: მაქვს ერთი ძირითადი ბიზნესი ყაზახეთში, რამდენიმე მიმართულება რუსეთში და რამდენიმე - გერმანიაში. რუსეთში მაქვს ერთი მეტალურგიული პროექტი, ავაშენე და ვფლობ ერთ-ერთ პირველ სარბოლო გზას, მაქვს საკონსტრუქტორო ბიურო - Art Line Engineering-ი, რომელიც სარბოლო ავტომობილებს აწარმოებს და დაკავებული ვარ სარბოლო შეჯიბრებების გამართვით. ყაზახეთში, შეიძლება ითქვას, რომ მასშტაბურ დონეზე ვარ დაკავებული სარკინიგზო ტრანსპორტის ბიზნესით - გადაზიდვების მხრივ ჩემი კომპანია ერთ-ერთი უმსხვილესია ყაზახეთში. რაც შეეხება გერმანიას, ეს ბიზნესიც ძირითადად ავტომობილებთან არის დაკავშირებული

შოთა აფხაზავას ეკუთვნის ბათუმში ჩოგბურთის კორტები და Caucasus Adventure Tours-ი, რაც აფხაზავას თქმით, იმ უცხოელებზეა ორიენტირებული, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და გადაადგილების სხვადასხვა საშუალებით - კვადროციკლებით, მოტოციკლებით, ვერტმფრენებით - იმოგზაურონ საქართველოში. აფხაზავა ამბობს რომ ჯამში საქართველოში 40 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა.

9.11. შპს ტრიდე

იმ კომპანიებს შორის, რომელმაც 2013 წელს რუსეთიდან ყველაზე მსხვილი ინვესტიციები მიიღო, მოხვდა დეველოპერული კომპანია შპს ტრიდეც. მისი დამფუძნებელი ვალერიან მარგველაშვილი რუსეთის მოქალაქეა. ის კომპანიის 35%-ს ფლობს. 30-30% ანდრო გუჯაბიძესა და ზურაბ სვიმონიშვილს ეკუთვნით. 5% კი "ტრიდეს" დირექტორის, ლაშა ხურციძის საკუთრებაშია.

ტრიდეს აშენებულია თბილისში სახლები "ტრიდე თბილისი" და "ტრიდე მწვანე სახელი", აგრეთვე შენდება "ტრიდე ბაკურიანი".

[62] Forbes.ge, 2013, დინჯი მრბოლელი, http://forbes.ge/news/171/dinji-mrboleli